# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 19 აპრილი 2006 №87 (2709) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ძასოხოვი თეთრი ულვაშის ფონზე

## გამოადგება რკინის კაცი რკინის არგუმენტად პატარკაციშვილს?



ბადრი კეთილაძის ფოტო

თბილისის „დინამოში“ პროკურატურისა და ფინანსური პოლიციის გაერთიანებული ჯგუფი შევიდა. ძალოვანები 2001 წლის მოვლენებს იკვლევენ, როცა შინაგან საქმეთა მინისტრმა კახა თარგამაძემ სპორტსაზოგადოება „დინამოს“ კუთვნილი საფეხბურთო კლუბი ბადრი პატარკაციშვილს მიჰყიდა. ძნელი სათქმელია, რამდენად უკავშირდება ეს პროცესები ბოლოხანს ბადრი პატარკაციშვილის მიერ გაკეთებულ პოლიტიკურ განცხადებებს, თუმცა ამ შემთხვევაში მთავარი ალბათ მოსალოდნელი შედეგებია. რა მოხდება, თუ მოკვლევა დარღვევას აღმოაჩენს? შესაძლოა, სტატუს-კვო აღდგეს, ანუ საფეხბურთო კლუბი სპორტსაზოგადოება „დინამოს“ დაუბრუნდეს, რომლის პრეზიდენტიც გოჩა ძასოხოვია. საინტერესოა, რომ გუშინ თბილისის მერიის მიერ გამოცხადებული კონკურსის შედეგებიც გაირკვა და ეროვნული სტადიონი 30-წლიანი მართვის უფლებით გოჩა ძასოხოვისვე კუთვნილ შპს „დინამო ინვესტს“ გადაეცა. შესაძლებელია თუ არა, რომ ეროვნულმა სტადიონმა და საფეხბურთო კლუბმა „დინამომ“ ერთი პატრონის ხელში მოიყაროს თავი? სულ მცირე, გამორიცხული არ არის...



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

# ბარსელონამ და კალაძემ ტოპმიოლერი დააჯერეს, მილანმა — ვერა






მილანურ „სან სიროზე“ მასპინძელი „მილანისა“ და კატალონიური „ბარსელონას“ დაპირისპირებას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა და ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კლაუს ტოპმიოლერმაც ადევნეს თვალი. როდესაც ჰერ კლაუსს შევეხმიანეთ, საფინალო სასტვენიდან ხუთიოდ წუთი იყო გასული...

— სანახაობრივად ძალიან კარგი, შინაარსიანი თამაში გამოდგა არამხოლოდ ჩვეულებრივი ქომაგებისთვის, არამედ სპეციალისტებისთვისაც. პირადად მეც ბევრი საინტერესო ჩავინიშნე, თუმცა რა გასაკვირია — მოედანზე მყოფი თითქმის ყველა ფეხბურთელი ხომ სხვადასხვა ეროვნული ნაკრების წევრია.

**— კახა კალაძის თამაშს როგორ შეაფასებთ?**

— კალაძემ ძალიან კარგად, კონსტრუქციულად ითამაშა. ვფიქრობ, ის საუკეთესო ფორმაშია.

**— როგორ ფიქრობთ, შეძლებს „მილანი“ ფინალში გასვლას?**

— ვფიქრობ, „მილანს“ ფინალში გასვლის არანაირი შანსი აღარ აქვს. თავადაც ნახეთ მატჩი და ალბათ დამეთანხმებით, რომ დღეს „ბარსელონა“ ევროპის საუკეთესო კლუბია.

**— ხვალ „არსენალი“ — „ვილიარეალია“. ამ წყვილზე რას იტყვით?**

— დღევანდელი მატჩის წინ რომ გეკითხათ, ნამდვილად ვერ ვივარაუდებდი, რომ „მილანი“ საკუთარ მოედანზე დამარცხდებოდა. ასე რომ, ხვალინდელი მატჩის პროგნოზისგანაც თავს შევიკავებ.

**— თბილისში როდის ჩამოდიხართ?**

— თუ არაფერი შეიცვალა, პარასკევს მანდ ვიქნები.

**ნინო სილაგაძე**

# დინამოსაც მიადგნენ

## ჯერ მხოლოდ საქაღალდეებ



გამომძიებლები „დინამოს“ ახალ ისტორიას იძიებენ





ბონდ, პიტერ ბონდ...

**გუშინ** თბილისის „დინამოს“ დიღმის საწვრთნელ ბაზაზე ხალხმრავლობა იყო: მოედანზე გუნდი ვარჯიშობდა და დღევანდელი მატჩისთვის ემზადებოდა, მესერს გამოღმა ჟურნალისტები და ქომაგები ერთმანეთში ვირეოდით, კლუბის ოფისში კი ქაღალდებს ატრიალებდნენ...

ნაშუადღევს „დინამოს“ ბაზას სამი კაცი მიადგა და შესაბამისი საბუთების ჩვენების შემდეგ კლუბის უფროსობას როგორც პროკურატურისა და ფინანსური პოლიციის გამომძიებლები, ისე წარუდგნენ. ისე წარუდგნენო, ვამბობ, რადგან არც ფინანსურ პოლიციაში, არც პროკურატურაში „დინამოში“ მათი თანამშრომლების შესვლის ფაქტი არ დაგვიდასტურეს.

ფაქტი კი ისაა, საღამოხანს დიღმის ბაზა იქაური თანამშრომლებისთვის უცნობმა სამმა კეისიანმა რომ დატოვა. მათ, რა თქმა უნდა, არანაირი კომენტარი არ გაუკეთებიათ. ჯერჯერობით ოფიციალურ კომენტარს არც „დინამოს“ ხელმძღვანელობა აკეთებს. მხოლოდ ის ითქვა, ამ სამიდან ორი ფინანსური პოლიციიდან იყო, ერთიც პროკურატურიდანო. რა აინტერესებდათ? მათ „დინამოს“ ძველი საბუთები მოუთხოვიათ, ცალკე ოთახში გამოკეტილან და მუშაობაც დაუწყიათ, რასაც დღესაც გააგრძელებენ.

პირველი ცნობებით, პროკურატურამ თუ ფინანსურმა პოლიციამ „დინამოს“ 2004 წელს აღძრული სისხლის სამართლის საქმე გაუხსენა, 2001 წელს შინაგან საქმეთა სამინისტრომ „დინამო“ უკანონო გზით გაყიდაო. იმ დროს შინაგან საქმეთა მინისტრი კახა თარგამაძე იყო, „დინამოს“ მყიდველის წარმომადგენლად კი მაშინ მავანი ინგლისელი ბიზნესმენი პიტერ ბონდი გამოგვეცხადა. მოგვიანებით გაირკვა, რომ „დინამო“ ბადრი პატარკაციშვილს შეუძენია, ვინც კიდევ უფრო გვიან კლუბის პრეზიდენტი გახდა და დღემდე ასეა.

გუგა კვიტაშვილი, ბადრი პატარკაციშვილის პრეს-მდივანი: „საქმის ვითარებაში დეტალურად ჯერ გარკვეული არ ვარ, თუმცა „დინამოში“ ფინანსური პოლიციისა და პროკურატურის თანამშრომლების შესვლა საეჭვოდ დაემთხვა ბადრი პატარკაციშვილის ამასწინანდელ გამოსვლას ბიზნესმენთა ფედერაციაში და გაზეთ „კომერსანტისთვის“ მიცემულ ინტერვიუს“.

2001 წელს კი, როცა „დინამო“ სხვა პატრონის, ანუ ბადრი პატარკაციშვილის ხელში გადავიდა, ითქვა, კლუბის ყიდვა, უკანონო თუ კანონიერი გზით, დაახლოებით 4 მილიონ ექვსასი ათასი დოლარი დაჯდაო.

„დინამოს“ გუშინდელი სტუმრებიც ალბათ სწორედ ამ ფულის წარმომავლობითა და ადრესატით დაინტერესდნენ.

**ქოჩა ინასარიძე**






# დაბრუნება წარსულში

## დინამო გოჩა ძასოხოვს გადაეცემა?

**თბილისის** „დინამოში“ პროკურატურისა და ფინანსური პოლიციის წარმომადგენელთა შესვლამ სერიოზული რეზონანსი გამოიწვია. ლაპარაკია 2001 წლის მოვლენებზე, როცა შინაგან საქმეთა სამინისტროს სპორტსაზოგადოება „დინამოს“ საკუთრებაში არსებული საფეხბურთო კლუბი „დინამო თბილისი“ ბადრი პატარკაციშვილის საკუთრება გახდა. მაშინდელი გარიგების დეტალებს დღეს ვერ ჩავუღრმავდებით, თუმცა იმას კი ვიტყვით, რომ ძალოვანმა სტრუქტურებმა გარიგების კანონიერებაში ეჭვი შეიტანეს. ეჭვი თავისთავად არ ნიშნავს დასაბუთებულ ბრალდებას, მაგრამ მაინც საინტერესოა, როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები, თუკი მოკვლევა კანონდარღვევას აღმოაჩენს.

დარღვევით გაფორმებული გარიგების ბათილად ცნობა მხოლოდ ერთი ნაბიჯი იქნება, რასაც ლოგიკურად შესაძლოა მეორე მოჰყვეს: საკუთრების — მფლობელისთვის, თანხის კი — მყიდველისთვის დაბრუნება.

ძველი მფლობელი — სპორტსაზოგადოება „დინამო“ დღეს სპორტკლუბ „დინამოდ“ იწოდება და მისი პრეზიდენტი გოჩა ძასოხოვია. რაც შეეხება 2001 წელს საფეხბურთო კლუბის სანაცვლოდ გადახდილ თანხას (დაახლოებით 4 600 000 დოლარი), ასევე სანდო წყაროდან მიღებული ინფორმაციით, სპორტსაზოგადოება „დინამოს“ კი არა, შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცანგარიშზე ჩაირიცხა. მოკლედ, არასაფეხბურთოდ ჩახლართული სიტუაციაა...

საინტერესო დეტალი: არსად გაჟღერებულა, მაგრამ სამართალდამცავთა იგივე ჯგუფი, რომელიც გუშინ საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისის“ დიღმის ბაზაზე დაბანაკდა, უკვე თვენახევარია, სპორტკლუბ „დინამოში“ იმავე პერიოდის (2001 წლის) დოკუმენტაციას იკვლევს.

**გიორგი ნოზაძე**



# რალფ მინგე ტურზე გვესტუმრება

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები მალტელ თანატოლებთან ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო შეხვედრას ერთ კვირაში გამართავს. გეხსომებათ, ვალეტაში გამართული მატჩი ჩვენი გუნდის გამარჯვებით (2:1) დასრულდა, რაც ჯგუფურ ეტაპზე გასვლის ჩინებულ წინაპირობას ქმნის.

რალფ მინგემ ლეგიონერებს გამოძახების ფურცლები უკვე დაუგზავნა, თუმცა საბოლოო შემადგენლობა ჯერაც არ არის გარკვეული. მალტური შეხვედრის შემდეგ ჰერ მინგემ გვითხრა, ორშაბათს თუ არა, სამშაბათს თბილისში ვიქნებიო, მაგრამ გარემოებათა გამო, მისი ჩამოსვლა ერთი დღით გადაიდო. ახალგაზრდული ნაკრების დამრიგებელი დღეს გამთენიისას უნდა ჩამოსულიყო თბილისში და, სავარაუდოდ, საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთ შეხვედრასაც მიადევნებს თვალს.


საქართველოს ტელეკომი

TELECOM GEORGIA

დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო და მობილურ საუბრებზე

დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან მაგთიზე და ჯეოსელზე 25 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)

საქართველოს რეგიონებში 12 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)

დროის წამობრივი აღრიცხვა

აკრეფვის წესი:

მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55)
+ აბონენტის ნომერი

საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი

8-100

ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge



სიახლე ჯეოსელისგან ჭეთ-მიქსი!

GEO *123#
ჭეთ MIX მიქსი

აკრიფეთ
*123*9# YES

და მომენტალურად დაამგინეთ

მიმდინარე საფეხბურთო მატჩების ანგარიშები



SCORE LIVE

wap.geocell.com.ge

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

მეორე წრე

## 26 ტური ანონსი

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# ო, რა ტურია...

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 25 | 19 | 4 | 2 | 45:16 | 61 |
| ვიტ ჯორჯია | 25 | 18 | 4 | 3 | 48:14 | 58 |
| ზესტაფონი | 25 | 15 | 6 | 4 | 37:19 | 51 |
| ბორჯომი | 25 | 16 | 2 | 7 | 43:21 | 50 |
| ბათუმი | 25 | 15 | 5 | 5 | 37:17 | 50 |
| დინამო | 25 | 15 | 4 | 6 | 41:19 | 49 |
| ამერი | 25 | 14 | 2 | 9 | 30:20 | 44 |
| ლოკომოტივი | 25 | 10 | 4 | 11 | 36:38 | 34 |
| კოლხეთი | 25 | 8 | 4 | 13 | 20:26 | 28 |
| კახეთი | 25 | 8 | 2 | 15 | 26:40 | 26 |
| დილა | 25 | 7 | 4 | 14 | 28:36 | 25 |
| ცხინვალი | 25 | 7 | 3 | 15 | 24:47 | 24 |
| ტორპედო | 25 | 6 | 6 | 13 | 22:33 | 24 |
| სოხუმი | 25 | 5 | 3 | 17 | 23:54 | 18 |
| თბილისი | 25 | 5 | 2 | 18 | 20:42 | 17 |
| სპარტაკი | 25 | 2 | 5 | 18 | 6:45 | 11 |

თქვენი ნებართვით, გადატვირთულ კალენდარს აღარ ვახსენებთ — აი, გუშინ ერთი ტური მიმოვიხილეთ და მეორე უკვე კარს მოგვადგა. და სწორედ დღესაა ის მატჩი, რომელზეც საჩემპიონო ითქმის — ბოლნისში „სიონი" მდევარ „ვიტ ჯორჯიას" მასპინძლობს. სხვა გზა არაა, ამ ორიდან ერთს უწერია ჩემპიონობა და ხომ წარმოგიდგენიათ, რა ამბავი იქნება „თამაზ სტეფანიაზე"...

დანარჩენი შვიდი მატჩიდან კი ფერხორციანი არც ერთია. ისევ ის „ლოკომოტივი" და ისევ ის „დინამო" რომ იყოს, რაზეა ლაპარაკი, მაგრამ...

ყველაზე ჩახლართული თამაშები ქვედა ზონაშია, სადაც პირველლიგელთან გადათამაშების ასარიდებლად იბრძვიან: „ტორპედო" „ცხინვალს", „კოლხეთი" კი „კახეთს" დაუხვდება და, აბა, ცხრილს ჩახედეთ...

# შარშანწინდელი წყენა დავიწყებულია?



თბილისი. ეროვნული სტადიონი. 2004 წლის 30 მაისი. ეროვნული ჩემპიონატის „ოქროს მატჩი". „ვიტ ჯორჯია" 2:0 „სიონი". ლამის ჩაშლილი თამაში. ხელკეტებიანი ჯარი. რამდენიმე დაჭრილ-დასახიჩრებული ქომაგი...

ბოლნისელი გულშემატკივარი რამდენჯერმე გადავიდა მოედანზე, მათ გვერდითი მსაჯი გურამ ჩიგოგიძე ფეხქვეშ წაიგდეს და რომ არა ისევ ბოლნისელი როინ ონიანი, რომელიც მოედანზე გაშოტილ ჩიგოგიძეს გადაეფარა, ვინ იცის, რა უბედურება მოხდებოდა.

იმ მატჩიდან დღევანდელ „ვიტ ჯორჯიას" სამი ფეხბურთელი შემორჩა: დავით იმედაშვილი, დავით დილმელაშვილი და პაატა დათუნაიშვილი, „სიონს" კი ორი — დავით ჭიჭველიშვილი და დავით სვანიძე.

რა იქნება დღეს? ალბათ, სულ სხვა რამ...



ბოლნისი. 19 აპრილი. 16 საათი. თამაზ სტეფანია

# სიონი V

ბოლნისმა ჩემპიონობის სუნი იგრძნო და თუ „სიონმა" „ვიტ ჯორჯიას" მოუგო, ზეიმი ხვალ საღამოს ნახეთ — ამ შემთხვევაში კახა ცხადაძის გუნდს, როგორც იტყვიან, ხუთი წუთიღა დარჩება ჩემპიონობამდე. ქვემოქართლელთა ლიდერის დასახელებისთვის ბრძენივით ჩაფიქრება არაა საჭირო: კოკა მიკუჩაძემ მეორე წრეში რამდენიმე თამაში ლამის მარტომ მოიგო, თუნდაც თბილისის „დინამოსთან" ბოლო წუთზე გატანილი გადამწყვეტი და თან ულამაზესი გოლი რად ღირს. ტექნიკურ და რბილი მანერის ფორვარდს ბომბარდირობაც სურს: მას ახლა 12 გოლი აქვს გატანილი და ორითღა ჩამორჩება ოთარ მარცვალაძეს...



# დღეს: თორმეტი თერთმეტზე

## კოკა მიკუჩაძე: ეს ჩემი ექსტრასეზონი უნდა გახდეს

— როგორ ფიქრობ, ეს სეზონი შენთვის საუკეთესოა?

— ერთ-ერთი საუკეთესო ნამდვილად არის. რაც მთავარია, „სიონისთვისაა" საუკეთესო, გუნდთან ერთად ვაღწევ ისეთ შედეგს, როგორიც არასოდეს მქონია — დიდი შანსია, პირველად გავხდე საქართველოს ჩემპიონი.

— ახლა გადამწყვეტი მატჩი გელით კონკურენტ „ვიტ ჯორჯიასთან"...

— მთელი გუნდი შემართულია, „ვიტ ჯორჯიასთან" ჩემპიონატის მთავარი მატჩი გველის. გულშემატკივრების დიდი იმედი გვაქვს, მათი სახით ხომ საშინაო თამაშებზე მეთორმეტე ფეხბურთელი გვყავს.

— „ვიტ ჯორჯიას" სამი ქულით უსწრებთ და აქედან გამომდინარე, თითქოს ფრეც ხელს უნდა გაძლევდეთ...

— ასე ფიქრი არ შეიძლება, თორემ დავისჯებით. შინ ყრუ დაცვაზე თამაში „სიონის" სტილი არ არის.

— მეტოქიდან რომელი ფეხბურთელია ყველაზე საშიში?

— ოთხი-ხუთი წელია, „ვიტ ჯორჯიას" ძირითადი ბირთვი ერთადაა და კარგად არიან შეთამაშებულები. ჰყავთ რამდენიმე ფეხბურთელი, რომლებიც ლიდერები არიან, თუმცა დასახელება არ მინდა.

— „სიონის" თავდასხმის ხაზში ძირითადად მიხეილ ხუციშვილთან ერთად თამაშობ. თქვენი დუეტი ძალიან აწყობილად გამოიყურება, არადა, ხუციშვილი სულ ორი თვის წინ გადმოვიდა „სიონში"...

— ხუციშვილთან ერთად ადრე „დინამოში" და „კოლხეთში" მითამაშია. მასთან მართლაც არ მიჭირს თამაში, ასევე კარგი თავდამსხმელია ირაკლი სირბილაძეც.

— ბოლო დროს ბევრი ლაპარაკია ჩაწყობილ თამაშებზე. ამაზე შენი აზრიც საინტერესოა...

— ფეხბურთელი ვარ და ჩემი საქმე თამაში, გოლების გატანა და „სიონის" მოგებაა. სხვა რა ვთქვა...

— საერთო აზრით, „სიონზე" უკეთესი შემადგენლობა სხვა გუნდებს ჰყავს. რით აღწევთ ასეთ შედეგს?

— ალბათ, გუნდური თამაშით. ვიცით, კონკრეტული მეტოქესთან როგორ მოვიქცეთ.

— „დინამოსთან" შენი გოლი გამორჩეული იყო. ასეთი ბურთი ადრე თუ გაგიტანია?

— ვერ ვიტყვი, რომ ჩემი საუკეთესო გოლი იყო. მაგალითად, შარშანწინ „თბილისში" რომ ვიყავი, აზერბაიჯანის „შამქირს" უკეთესი გავუტანე. ისე, „დინამოსთან" ჩემი კარიერის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გოლი შევაგდე და იმედია, უფრო მნიშვნელოვანი წინ მელის.

— ძალიან ხშირად გეუხეშებიან, არადა, ფიზიკური მონაცემებით არ გამოირჩევი...

— მართლა ხშირად მხვდება კოჭებში, მაგრამ ფიზიკურად ახლა მშვენივრად ვარ მომზადებული. ამას დაუმატეთ გამძლეობა, რის გარეშეც ასეთი გადატვირთული კალენდრის დროს ამდენ გოლებს ვერ გავიტანდი.

— ბომბარდირობა შენი თვითმიზანი არ არის?

— ამისთვისაც ვიბრძოლებ. რაღაცნაირად არ მიმართლებს, ერთი პენალტი არ დაიდო, რომ დამერტყა. თორმეტივე გოლი თამაშიდან გავიტანე. პირველ წრეში „სიონში" პენალტებს ჯაბა დვალი და დავით ბოლქვაძე ასრულებდნენ, მაგრამ მე რომ დამერტყა...

— სეზონის ბოლოს უცხოურ კლუბში გადასვლას ხომ არ აპირებ?

— ვნახოთ. ამ ეტაპზე წინადადებები არ მაქვს და არც ვფიქრობ — საამისო დრო ჯერ არაა, წინ გადამწყვეტი თამაშებია.

**ილია ნანობაშვილი**

„სიონი" შინ
12 მატჩი,
11 მოგება, 1 ფრე, 0 წაგება,
ბურთები 28:5

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

**უმაღლესი ლიგა**
**მეორე წრე**
## 26 ტური ანონსი

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

მსაჯები: ლ. სილაგავა; ზ. მენთეშაშვილი, მ. ელიკაშვილი; ა. ნონიკაშვილი; დამკვირვებელი: ს. კოტრიკაძე

## ვიტ ჯორჯია

დღევანდელი „სიონი“ — „ვიტ ჯორჯია“ ტურის კი არა, ალბათ ჩემპიონატის ცენტრალური მატჩიცაა და ასეთ წონიან შეხვედრებში გამოცდილებასაც ემატება წონა და ფასი. „ვიტ ჯორჯია“ ახალგაზრდული გუნდია და მის 26 წლის კაპიტან **დავით დიღმელაშვილს** ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი ფეხბურთელი ეთქმის. დიღმელაშვილთან გუშინდელი საუბარის მთავარი თემა, ცხადია, „სიონთან“ დღევანდელი მატჩი იყო...



# მშობლებო და ახლობლებო, ნუ წახვალთ ბოლნისში!

## დავით დიღმელაშვილი: უქომაგო ვიტ ჯორჯიას ძალა გუნდურობაა

— კლუბის ხელმძღვანელობამ საამმატჩოდ განსაკუთრებული პრემიები დაგიწესათ?

— ამაზე ჯერ არ გვილაპარაკია. როგორც უნდა იყოს, ამ თამაშისთვის პრემიებს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს — პრემია სულ რომ არ დაგვიწესონ, უნდა გავიდეთ და ვითამაშოთ. განსაკუთრებულად მობილიზებულნი ვართ.

— გადატვირთული კალენდრის გამო შეკრებაგაუვლელ „ვიტ ჯორჯიასთვის“ გადაღლის პრობლემა ალბათ კვლავაც მწვავეა...

— ეს არა მარტო „ვიტ ჯორჯიას“ პრობლემაა. კვირას, „სპარტაკთან“ თამაშის მეორე დღეს დავისვენეთ, გუშინ ძალიან მსუბუქად ვივარჯიშეთ და იგივეს გავაკეთებთ დღეს საღამოსაც. ვარჯიშებზე აქცენტი იმაზე გვაქვს გადატანილი, რომ „სიონთან“ მთელი 90 წუთი შეგვეძლოს ბრძოლა, თორემ ტაქტიკურ თუ ფიზიკურ ასპექტებზე მუშაობას, უბრალოდ, ვერ ვასწრებთ.

— „ვიტ ჯორჯიამ“ მეორე წრეში ორი თამაში წააგო — რა იყო ამის მიზეზი?

— „ზესტაფონთან“ რომ დავმარცხდით, მანამდე ზედიზედ ოთხი თამაში გვქონდა მოგებული და ფეხის დაცდენა, ალბათ, მოსალოდნელი იყო. ხოლო „ბორჯომთან“ რომ წავაგეთ, ხუთი წამყვანი ფეხბურთელი გვაკლდა — ზოგი ახალგაზრდულ ნაკრებში იყო გამოძახებული, ზოგიც ტრავმირებული იყო.

**„ვიტ ჯორჯია“ სტუმრად**
**12 მატჩი,**
**8 მოგება, 2 ფრე, 2 წაგება,**
**ბურთები 21:7**

— „სიონს“ ბოლნისში ეთამაშებით — ეს ალბათ არცთუ მცირე უპირატესობას აძლევს მეტოქეს...

— რა თქმა უნდა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ „სიონს“ ბევრი გულშემატკივარი ჰყავს, თანაც ჩვენთან ცოტა სხვანაირი გულშემატკივრობაა...

— იმას გულისხმობ, რომ იქ გულშემატკივრები შეურცხყოფას აყენებენ მსაჯებს, რაც მათზე დამთრგუნველად მოქმედებს?

— ასეთი გულშემატკივრობა დამთრგუნველად მოქმედებს ფეხბურთელებზეც, რადგან ხშირად მათაც აყენებენ შეურაცხყოფას — საქართველოში ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს.

— და თუ ფეხბურთელი შეურაცხყოფას ვერ მოითმენს, შესაძლოა, მისი გუნდი კაცნაკლული დარჩეს...

— ჩვენი მწვრთნელები ამაზე მუშაობენ და ყველანაირად ცდილობენ, რომ ფეხბურთელებმა ასეთ ზეწოლას გაუძლონ. თანაც „ვიტ ჯორჯიაში“ ბევრი ახალგაზრდაა და არცთუ მცირეა იმის ალბათობა, რომ მათ ნერვებმა უმტყუნონ, ზღვარი ხომ ყველაფერს აქვს.

— ანუ, გულშემატკივრობის და მსაჯობის ფაქტორი ამ მატჩში გადამწყვეტი იქნება?

— იმედია, ასე არ იქნება.

— „ვიტ ჯორჯიას“ არ ეყოლება თავისი გულშემატკივარი ბოლნისში?

— არა, ჩვენ არავინ მოგვყვება, ფან-კლუბიც არ გვყავს. როცა სტუმრად ვთამაშობთ, უგულშემატკივროდ ვართ. სტადიონზე ჩვენი გულშემატკივრები მეტწილად მშობლები, ნათესავები და ახლობლები არიან.

— და ისინიც არ მოგყვებიან ბოლნისში?

— ყველანაირად ვცდილობთ, რომ მათ ბოლნისში წამოსვლა გადავაფიქრებინოთ.

— ალბათ გახსოვს 2004 წლის „ოქროს მატჩი“, როცა „ვიტ ჯორჯია“ — „სიონზე“ ექსცესები მოხდა...

— მას შემდეგ ორი წელი გავიდა და არა მგონია, ვინმეს კიდევ ბოღმა ჰქონდეს დარჩენილი.

— როგორც უნდა იყოს, „სიონი“ შინ ითამაშებს და ეს მას გარკვეულ უპირატესობას აძლევს — რა იქნება „ვიტ ჯორჯიას“ კოზირი?

— როგორც ყოველთვის, გუნდური თამაში.

— ფრე „ვიტ ჯორჯიასთვის“ როგორი შედეგი იქნება?

— შესაძლოა, ფრეც ნორმალური შედეგი იყოს.

— „ვიტ ჯორჯიას“ საგოლე მომენტების ვერგამოყენება დასჩემდა...

— საგოლე მომენტების 30 პროცენტი მაინც რომ გამოგვეყენებინა, არც ერთ თამაშის არ წავაგებდით. მიუხედავად ამისა, ამ ჩემპიონატში ყველაზე მეტი გოლი „ვიტ ჯორჯიამ“ გაიტანა.

— „სიონთან“ მატჩში ბევრს გადაწყვეტს გამოცდილება — გუნდში ერთ-ერთი გამოცდილი ფეხბურთელი კი შენ ხარ...

— ასეთ მატჩებში გამოცდილებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. „ვიტ ჯორჯიაში“ გამოცდილი ფეხბურთელები ჩემ გარდა ოლეგ გველესიანი და თენგიზ კობიაშვილი არიან, თუმც კობიაშვილს დაჭიმული კუნთი გაუმიზეზდა და „სიონთან“ ვერ ითამაშებს. მოკლედ, გამოცდილებიდან მე და გველესიანი დავრჩით...

**დავით თავართქილაძე**

## უსაფრთხოება აწონილ-დაწონილია

**დღევანდელი** „სიონი“ — „ვიტ ჯორჯია“ უსაფრთხოების მხრივაც მაღალ რისკის მატჩია და ამასთან დაკავშირებით კომენტარი საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტ *დიმიტრი რამიშვილს* ვთხოვეთ: „უსაფრთხოების მიზნით განსაკუთრებულ ზომებს მივიღებთ. ამის შესახებ ორივე კლუბს ვაცნობეთ. მატჩზე მივავლენთ ორ დირექტორს — ამირან კაჭახიძეს და პაატა ბურჯალიანს. შეხვედრას მეც დავესწრები. მოკლედ, ყველაფერი აწონილ-დაწონილი გვაქვს. არ შევხვედრივარ ბოლნისის გამგებელსა და „სიონის“ პრეზიდენტ გიორგი არევაძეს, მაგრამ პროფლიგამ სათანადო წერილი გააგზავნა ბოლნისის გამგეობაში. თუ რამდენი პოლიციელი დაიცავს წესრიგს სტადიონზე, ამას ადგილზე გადაწყვეტენ ჩვენი წარმომადგენლები. ყველაფერს ისე ვაკეთებთ, რომ ხელკეტიანი სპეცრაზმელების გამოძახება არ დაგვჭირდეს.

## მაინც ამოვთხრით!

**ბოლნისში** განსაკუთრებულად ემზადებიან „სიონი“ — „ვიტ ჯორჯიას“ დღევანდელი შეხვედრისთვის. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, გამარჯვების შემთხვევაში ქვემოქართლელები თითქმის ინაღდებენ ჩემპიონობას. თუმცა ბოლნისს დღეს მხოლოდ საფეხბურთო გამოცდის ჩაბარება როდი უწევს — შარშანწინდელი „ოქროს მატჩის“ მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, „თამაზ სტეფანიაზე“ წესრიგის დაცვას განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა. ძალოვანებთან ურთიერთობა და მუშაობის კოორდინირება „სიონის“ დირექტორ არჩილ შაკიაშვილს აქვს მინდობილი, ხოლო სტადიონზე და მის შემოგარენში წესრიგის დაცვაში რაიონულ პოლიციას რეგიონული სამმართველოც დაეხმარება.

სტადიონთან კი უკვე ერთი კვირაა, სპეციალური ჭაბურღილი კეთდება — „თამაზ სტეფანიაზე“ წყალმომარაგების ავტონომიური სისტემის მოწყობას გეგმავენ. კლუბის წარმომადგენელთა თქმით, ჭაბურღილი უკვე 45 მეტრის სიღრმეზეა, წყალი კი არ ჩანს. ამის მიუხედავად, ბოლნისელები იმედოვნებენ, რომ დღეს სხვა ყველა დეტალთან ერთად, ესეც მოგვარებული იქნება.

**გიორგი ნოზაძე**

თბილისი. 19 აპრილი. 16 საათი. ამერი
### ამერი — სოხუმი
მსაჯები: მ. ბეუქლიშვილი; კ. გუდურაშვილი, ვ. ცინცაძე; ო. ხეცაძე;
დამკვირვებელი: ა. შალამბერიძე

ფოთი. 19 აპრილი. 16 საათი. ფაზისი
### კოლხეთი — კახეთი
მსაჯები: ა. ორდინიძე; ი. უკლება, მ. ლომსაძე; დ. სანაია;
დამკვირვებელი: ზ. პეტრიაშვილი

გორი. 19 აპრილი. 16 საათი. თენგიზ ბურჯანაძე
### დილა — ზესტაფონი
მსაჯები: პ. დოგრაშვილი; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; გ. ვადაჭკორია;
დამკვირვებელი: ა. დურსუნიში

თბილისი. 19 აპრილი. 16 საათი. ოლიმპი
### ლოკომოტივი — დინამო
მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი; ს. სპიცინი, დ. გოგოლაძე; ლ. ფანიაშვილი;
დამკვირვებელი: ე. სილაგავა

ქუთაისი. 19 აპრილი. 16 საათი. ტორპედო
### ტორპედო — ცხინვალი
მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი; ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე; ა. სამხარაძე;
დამკვირვებელი: ო. გუნთაძე

თბილისი. 19 აპრილი. 16 საათი. შევარდენი
### სპარტაკი — ბორჯომი
მსაჯები: ვ. ელისაბედაშვილი; მ. ურუშაძე, ი. შენგელია; ლ. კვარაცხელია;
დამკვირვებელი: მ. ჭელიძე

ბათუმი. 19 აპრილი. 16 საათი. დინამო
### ბათუმი — თბილისი
მსაჯები: მ. მაისურაძე; ზ. ჯვარიძე, გ. ცირდავა; კ. ჭაჭუა;
დამკვირვებელი: ს. ფრუიძე

### დისკვალიფიცირებულნი
„ლოკომოტივი“ — გულორდავა
„ბორჯომი“ — ბაქრაძე, ჯიქია
„კახეთი“ — კობაიძე
ამერი — წინამძღვრიშვილი, აბაშიძე (მეკარეთა მწვრთნელი)
„სიონი“ — ცხადაძე (მთავარი მწვრთნელი), ალავიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა





# მორჩა: გორჩა! ეროვნულს ძასოხოვი მიხედავს

როგორც იქნა, ყველაფერს თავისი სახელი დაერქვა. გუშინ გავრცელდა თბილისის მერიის ჯერაც უნომრო დადგენილება, რომელშიც 21 მარტს გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „დინამო ინვესტი“ გამოცხადდა.

ამ ცნობამ ერთგვარი გაუგებრობა გამოიწვია. აქამდე ასე ვიცოდით, რომ კონკურსში სპორტკლუბი „დინამო“ მონაწილეობდა და არც კონკურენტი ჰყავდა. რეალურად კი სწორედ ეს გახდა კონკურსის შედეგების გამოცხადების ვადის ორჯერ გადადების მიზეზი.

რა სხვაობა და რა საერთო აქვთ შპს „დინამო ინვესტსა“ და სპორტკლუბ „დინამოს“? საერთო გოჩა ძასოხოვია, რომელიც შპს-ში ასპროცენტიან წილს ფლობს და იმავდროულად სპორტკლუბ „დინამოს“ პრეზიდენტია.

მერიის საკონკურსო პირობების მიხედვით, პოტენციურ ინვესტორს ეროვნული სტადიონის რეაბილიტაციისთვის უახლოეს ხუთ თვეში 10 მილიონი დოლარი უნდა გაელო. ასეთი თანხა სპორტკლუბ „დინამოს“ არ გააჩნია, გოჩა ძასოხოვმა კი, ბუნებრივია, არ ისურვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის სახელით საკუთარი სახსრების ხარჯვა. სწორედ ამიტომ გამოჩნდა ავანსცენაზე შპს „დინამო ინვესტი“. კიდევ ერთი საერთო ამ ორ ორგანიზაციას შორის ისაა, რომ სპორტკლუბის გენერალური დირექტორი ირაკლი მეძმარიაშვილი შპს-ში დირექტორის მოვალეობას შეასრულებს.

დედაქალაქის მერიასა და „დინამო ინვესტს“ შორის მენეჯმენტ-კონტრაქტი ჯერ არ გაფორმებულა, თუმცა ეროვნულ სტადიონზე სარეაბილიტაციო სამუშაოები უკვე მიმდინარეობს. კომპანია „ნიუ სიტი“ სტადიონის ხელმძღვანელობასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე სამ ცვლაში მუშაობს. ლოგიკურად, კომპანიის მიერ ჩატარებულ სამუშაოებს ინვესტორი მხარე დააფინანსებს.

უახლოეს დღეებში დედაქალაქის მერია და „დინამო ინვესტი“ ოფიციალურ განცხადებებს გააკეთებენ კონტრაქტის გაფორმების თაობაზე, თუმცა ეს რიგითი ქომაგისთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია. მთავარი ისაა, რომ გაირკვა ეროვნული სტადიონის მომავალი — პროექტის მიხედვით, 2 სექტემბერს სტადიონზე მისული ქომაგი ევროპულად შეკეთებულ „ეროვნულს“ ნახავს.

**გიორგი ნოზაძე**

# გილაური ჩემპიონი ზეგ უნდა გახდეს

## მუსტაფა დენიზლი თუ ესტეგლალი?



ირანის თექვსმეტგუნდა ჩემპიონატის დასრულებას ერთი ტური უკლია. აქვსენტი გილაურს „ესტეგლალი“ პირველ ადგილზეა და ერთი ქულით უსწრებს „საპს“. ჯაბა მუჯირის „სეპაჰანი“ კი მე-8 ადგილზეა. გილაურს გუშინ შევეხმიანეთ თეირანში...

— ბოლო ტური პარასკევსაა და შინ ვეთამაშებით „შირაზს“. თუ მოვიგეთ, ჩემპიონები გავხდებით.

— „შირაზი“ როგორი გუნდია, გაგიჭირდებათ მისი დამარცხება?

— წესით, „შირაზის“ ძლევა არ უნდა გაგვიჭირდეს. ეს გუნდი ახლა მე-14 ადგილზეა და პირველ წრეში სტუმრად 3:0 მოვუგეთ. თუმც ამ მატჩისთვის ძალიან სერიოზულად ვემზადებით, თამაშამდე ორდღიან შეკრებაზე გადავდივართ.

— თქვენი მდევარი „საპი“ რა გუნდია?

— საკმაოდ ძლიერი, ცნობილი თურქი სპეციალისტი მუსტაფა დენიზლი წვრთნის, ბრაზილიელი და თურქი ფეხბურთელებიც ჰყავს.

— „შირაზთან“ მატჩზე ალბათ ბევრი ხალხი მოვა...

— სტადიონზე 80 ან 90 ათასი მაყურებელი უეჭველად მოვა. თუ ჩემპიონები გავხდით, აზიის ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ვითამაშებთ.

— ანუ გადაწყვეტილია, რომ დამდეგ სეზონშიც „ესტეგლალში“ იქნები?

— არა, გადაწყვეტილი ჯერ არაფერია. „ესტეგლალთან“ კონტრაქტი ჩემპიონატის დასრულებისთანავე მიმთავრდება. ირანის ყველაზე მდიდარი საფეხბურთო კლუბი „საბა ბათერი“ მეპატიჟება, „ესტეგლალსაც“ სურს ჩემი დატოვება და ვნახოთ, გადაწყვეტილების მიღებას არ ვჩქარობ.

— „ესტეგლალს“ ვინ აფინანსებს?

— სახელმწიფო, მაგრამ ამავე დროს ჩვენი სპონსორები არიან „სუზუკი“ და „ფილიპსი“.

— ამ ჩემპიონატში რამდენი გოლი გაიტანე?

— მარცხენა ნახევარმცველად ვთამაშობ და ოთხი გოლი შევაგდე — ორი საჯარიმო დარტყმით, ორიც სათამაშო სიტუაციიდან.

**დავით თავართქილაძე**

# გულქართლი დავითი



## მუჯირმა საქართველო რუსეთშიც გამოფინა

**ფეხბურთზე** კამათი „მოსული ამბავია“, ზოგს ეს გამოსდის, ზოგსაც არა. ქართველ ფეხბურთელებს პატრიოტიზმი არა აქვთ — რამდენჯერ შესწრებიხართ ასეთ საუბარს ქუჩაში თუ სტადიონზე? ძალიან ბევრჯერ. ასე არაა?

თავს ვერ დავდებთ, რომ უკლებლივ ყველა ქართველი მოთამაშე პატრიოტია, მაგრამ დავით მუჯირზე ამის თქმა ნაღდად ალალია — აგერ, ფოტოები ასახავს ყველაფერს. გუშინაც ვწერდით, „მუმუმ“ მოსკოვში „ტორპედოსთან“ გოლის გატანის შემდეგ შიგნითა მაისურა გამოაჩინა, სადაც საქართველოს ხუთჯვრიანი დროშა ჰქონდა მოხატულიო. გეხსომებათ, ამგვარ სასიამოვნო რიტუალს ჩვენიანი ავსტრიულ „შტურმში“ გოლაობისასაც ასრულებდა...

**ილია ნანობაშვილი**



# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. ნახევარფინალი. პირველი მატჩი



## არსენალი (ინგლისი) – ვილიარეალი (ესპანეთი)

ლონდონი. „ჰაიბერი“. მსაჯი: კონრად პლაუცი (ავსტრია)

| | |
|---|---|
| ლემანი — ებუ, ტურე, სენდეროსი, ფლამინი — ლიუნგბერგი, გლები, ჟილბერტო სილვა, ფაბრეგასი, პირესი — ანრი | ბარბოსა — ხავი ვენტა, არზო, კიკე ალვარესი, არუაბარენა — სენა, ტაკინარდი, რიკელმე, სორინი — ხოსე მარი, ფორლანი |

**დისკვალიფიცირებულნი**

| | |
|---|---|
| ხოსე ანტონიო რეიესი (1 მატჩი) | სებასტიან ვიერა (1 მატჩი) |



# ევროთოფის ბოლო გასროლა ჰაიბერიზე

**დღევანდელი** მატჩი „ვილიარეალთან“, „არსენალისთვის“ „ჰაიბერიზე“ უკანასკნელი ევროპული ჯახი იქნება — მალე „მეთოფეები“ საბურთაოდ ახალ არენაზე, „ეშბარტონ გროუვზე“ გადავლენ. „ჰაიბერის“ კი დემონტაჟს გაუკეთებენ და იქ, სადაც 93 წლის განმავლობაში არსენალური ვნებები ბობოქრობდა, ჩვეულებრივი, წყნარი საცხოვრებელი უბანი გაშენდება. ლონდონელ ფანებს საქომაგოდ შორს წასვლა არ მოუწევთ, „ეშბარტონ გროუვი“ ძველი სტადიონიდან დაახლოებით 500 მეტრშია და მოედანზე მისასვლელად კვლავინდებურად მეტროსადგურ „არსენალით“ ისარგებლებენ. სხვათა შორის, „არსენალი“ ერთადერთი კლუბია მსოფლიოში, რომელსაც თავისი სახელობის მეტროს სადგურით შეუძლია იამაყოს...

ოთხშაბათს „ვილიარეალთან“ „მეთოფეები“, სოლ კემპბელს მოისაკლისებენ. მან ცხვირის ოპერაცია გაიკეთა და რამდენიმე ხნით დაისვენებს. კატალონიელი სესკ ფაბრეგასის თამაშიც ბოლო მომენტამდე სათუო იყო. სესკს ორი კვირის წინ „ასტონ ვილასთან“ მიღებული ტრავმა აწუხებდა, თუმცა, ექიმთა თქმით, ფეხბურთელი გამოჯანმრთელდა და ალბათ „ჰაიბერიზე“ მას მაინც ვიხილავთ. „ბევრი ამბობს, რომ „არსენალი“ „ვილიარეალთან“ გამოკვეთილი ფავორიტია. მე ასე არ ვფიქრობ. ფინალში გასვლის შანსები თანაბარია“ — განაცხადა „არსენალის“ მწვრთნელმა არსენ ვენგერმა ჟურნალისტებთან საუბარში. ფრანგის გუნდმა პრემიერლიგაში ბოლო თამაში „ვესტ ბრომვიჩს“ 3:1 მოუგო. „არსენალს“ ესპანურ კლუბებთან ძველი წყენა აკავშირებს. „მეთოფეებმა“ პირინეელებთან ორჯერ წააგეს თასების თასის ფინალი — პირველად 1980-ში „ვალენსიასთან“ და მეორედ 1995-ში „სარაგოსასთან“. წლეულს, ჩემპიონთა ლიგაში „ჰაიბერიზე“ „არსენალის“ მეტოქეებს 739 წუთია, გოლი ვერ გაუტანიათ და „ვილიასაც“ ნახევარფინალში ამ რთულ ბასტიონთან ჯახი მოუწევს.

სტუმართაგან ვერ ითამაშებენ მეკარე ვიერა, მცველები გონსალო როდრიგესი და ხუანმა პენია. ბოლო ორი „ბარსასთან“ პრიმერას თამაშში დაშავდა, გოლკიპერი კი დაჯარიმებულია. არადა, სებასტიან ვიერას გულით უნდოდა „ჰაიბერიზე“ ყოფნა. ადრე ეს მეკარე „არსენალმა“ ტრავმის გამო დაითხოვა და ურუგვაელსაც ძველ გუნდთან შერკინება სწყუროდა. რახან დაცვაში პრობლემებია, ტიერი ანრის დაჭერას ალბათ 20 წლის სათადარიგო სეზარ არზოს დაავალებენ და ერთმა ღმერთმა იცის, ყმაწვილი კაცი ლონდონელთა ჯადოქარი ფრანგის შებოჭვას რანაირად შეძლებს.

„არსენალს“ ისტორია აქვს, ჩვენ — არა, მაგრამ თამაშის ბედს მოედანზე ფეხბურთელები წყვეტენ და არა მემატიანეები“ — განაცხადა სტუმართა თავკაცმა პელეგრინიმ. ადრე მან „ინტერზე“ თქვა ზუსტად იგივე და ლიგის მეოთხედფინალიდან გააგდო...

**ლადო ხომერიკი**

| არსენალის ბოლო ათი საშინაო მატჩი | | |
|---|---|---|
| არსენალი— ვესტ ბრომიჩი | 3:1 | პლ |
| არსენალი — ასტონ ვილა | 5:0 | პლ |
| არსენალი— იუვენტუსი | 2:0 | ჩლ |
| არსენალი— ჩარლტონი | 3:0 | პლ |
| არსენალი — ლივერპული | 2:1 | პლ |
| არსენალი— რეალი | 0:0 | ჩლ |
| არსენალი —ბოლტონი | 1:1 | პლ |
| არსენალი — ვესტჰემი | 2:3 | პლ |
| არსენალი — უიგანი | 1:0 | ლთ |
| არსენალი — მიდლსბრო | 7:0 | პლ |

პლ — პრემიერლიგა, ჩლ — ჩემპიონთა ლიგა, ლთ — ლიგის თასი

| ვილიარეალის ბოლო ათი მატჩი სტუმრად | | |
|---|---|---|
| ბარსელონა — ვილიარეალი | 1:0 | პდ |
| სარაგოსა — ვილიარეალი | 0:1 | პდ |
| ინტერი — ვილიარეალი | 2:1 | ჩლ |
| ვალენსია — ვილიარეალი | 1:1 | პდ |
| მალიორკა — ვილიარეალი | 1:1 | პდ |
| ბილბაო — ვილიარეალი | 1:1 | პდ |
| რეინჯერსი — ვილიარეალი | 2:2 | ჩლ |
| სელტა — ვილიარეალი | 1:0 | პდ |
| სევილია — ვილიარეალი | 2:0 | პდ |
| რასინგი — ვილიარეალი | 1:0 | პდ |

პდ — პრიმერადივიზიონი, ჩლ — ჩემპიონთა ლიგა, ეთ — ესპანეთის თასი




# კაიზერმა ფრანცის თავში ოქრო იპოვა

**9 ივლისს**, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ბურთი ოქროსი იქნება.

ფრანც ბეკენბაუერი: „მიკვირს, ეს იდეა აქამდე რატომ არ მოუვიდა არავის. ფინალი ხომ საგანგებო რამაა, როგორც ფეხბურთელებისა და მწვრთნელებისთვის, ასევე მთელი მსოფლიოსთვის. ამ მატჩისთვის ოთხ წელიწადში ერთხელ სპეციალური ბურთის შექმნა საუცხოო აზრია“.

ფრანც ბეკენბაუერი, მოგეხსენებათ, მოახლოებული მსოფლიოს ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტი გახლავთ. მან ბერლინში, ბრანდერბურგის ჭიშკართან მოაწყო პრესკონფერენცია, სადაც 220 სანტიმეტრი დიამეტრის ბურთი ოქროსფრად მოხატულმა ბერძენმა მეომრებმა მიატანინეს.

„ადიდასის“ თავმჯდომარე ჰერბერტ აინერი: „ოქროს ბურთი მსოფლიოს ჩემპიონატის დანარჩენი ბურთების იდენტური იქნება, მაგრამ მასზე 14 პანელიდან ექვსს ოქროთი დაფარავენ. ძალიან გვინდა, ეს ტრადიციად დამკვიდრდეს და მომავალ ფინალებზეც იგივე გავაკეთოთ“.

ჩვეულებრივ კი მსოფლიოს ჩემპიონატის თითო თამაშისთვის, ტაილანდის ფაბრიკაში საგანგებოდ დაამზადებენ 15 ბურთს, რომლებზეც თამაშის თარიღი და გუნდების სახელები იქნება ამოტვიფრული.

„ადიდასი“ მსოფლიოს ჩემპიონატებს 1970 წლიდან ამარაგებს და ფიფასთან კონტრაქტი 2014 წლამდე აქვს.

**პაპუნა ძიძია**

# სამი დალიე, შეგერგება




**ლუიშ ფიგუს**, კრიშტიანუ რონალდუს და პორტუგალიის ნაკრების სხვა ვარსკვლავებს გერმანიაში, მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში ქათმის სუპი არ მოაკლდებათ. რატომ? სამშობლოსთან განშორება რომ არ იგრძნონ.

აგერ უკვე რვა წელიწადია პორტუგალიის ეროვნულ გუნდში მზარეულად ელიო ლურეირუ მუშაობს, რომელსაც საფეხბურთო ჭამა-ყლაპვისა ყველაფერი კარგად მოეხსენება და სწორედ მან თქვა, ქათმის სუპზე მადლიანი კერძი ფეხბურთელებისთვის არ მეგულებაო.

„გვინდა გუნდი გემრიელი, პორტუგალიური ქათმის სუპით ვკვებოთ — თქვა ლურეირუმ — ჩვენი მიზანია, ფეხბურთელებს, გარდა იმისა რაც ფიზიკურად სჭირდებათ, რაც მათთან სულიერად ახლოსაა, ისიც მივცეთ“.

და კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: მაშინ, როდესაც ყველა სხვა გუნდი ფეხბურთელებს ალკოჰოლის მიღებას სასტიკად უკრძალავს, პორტუგალიელები ღვინისთვის მენიუში ადგილს პოულობენ.

„ისინი მხოლოდ თამაშის დღეებში არ დალევენ. საქმე ისაა, რომ ჩვენ ღვინოს საკვებად მივიჩნევთ, რომელიც გარდა იმისა, რომ ძალიან ყუათიანია, წყურვილსაც კლავს და დალევის სურვილსაც“.

შეგახსენებთ, რომ პორტუგალიის ნაკრები D ჯგუფში ანგოლასთან, ირანთან და მექსიკასთან მოხვდა, პირველი თამაში კი 11 ივნისს ანგოლასთან აქვს.



**პაპუნა ძიძია**



# მსოფლიოს თასი გერმანია 2006

9 ივნისი – 9 ივლისი

**E ჯგუფი**

**იტალია, განა, აშშ, ჩეხეთი**

# განი, განი, განელებო



რატომირ დუიკოვიჩი

**აფრიკის** ეროვნებათა თასის ოთხგზის მფლობელმა განამ აქამდე ათჯერ სცადა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლა, მაგრამ ამაოდ, მეთერთმეტე ცდა კი წარმატებული გამოდგა გუნდისთვის, რომლის ჯიგარიც „ჩელსის“ ლეგიონერი მიკაელ ესიენია, მწვრთნელი კი სერბი რატომირ დუიკოვიჩი.

ჯგუფური შესარჩევი ეტაპის დაწყებამდე „შავმა ვარსკვლავებმა“ (განელთა მეტსახელია) სომალის ორი მატჩის ჯამში 7:0 მოუგეს, ჯგუფში კი სამხრეთ აფრიკასთან მოხვდნენ, რომელიც ფავორიტად ითვლებოდა, მაგრამ „ბაფანა ბაფანა“ საბოლოოდ ხუთი ქულით ჩამოიტოვეს.

შესარჩევის დასაწყისში „შავ ვარსკვლავებს“ მარიანო ბარეტო თავკაცობდა. პირველ შეხვედრაში ბურკინა ფასოსთან სტუმრად დამარცხდნენ, მერე კი სამხრეთ აფრიკას უმასპინძლეს და 3:0 სძლიეს. 2004 წლის სექტემბერში კაბო ვერდესთან მოგებით ჯგუფის თავში მოექცნენ და ამის შემდეგ ბარეტო სამუშაოდ პორტუგალიურ „მარიტიმუში“ წავიდა. მისი ადგილი დროებით სემ არდაიმ დაიკავა, ხოლო 2004-ის მიწურულს არდაი რატომირ დუიკოვიჩმა შეცვალა. სერბის სადებიუტო მატჩში განელები დემოკრატიულ კონგოს დაუხავდნენ, აქედან მოყოლებული, ყველა თამაში მოიგეს და ჯგუფში პირველობა შეინარჩუნეს.



სტეფან აპია

* * *

*მწვრთნელი:* რატომირ დუიკოვიჩი „ცრვენა ზვეზდას“ სამწვრთნელო შტაბში იყო მაშინ, როცა ამ გუნდმა ევროპის ჩემპიონთა თასი მოიგო. ასე რომ, გამოცდილება და ცოდნა არ დაეწუნება. უმუშავია ვენესუელის ნაკრებშიც და საუდის არაბეთის კლუბებშიც. განამდე რუანდას წვრთნიდა, რომელიც 2004 წელს ისტორიაში პირველად გაიყვანა აფრიკის ეროვნებათა თასის ფინალურ ეტაპზე. საინტერესოა, რომ რუანდამ ფინალურ ეტაპზე განელთა ძლევით დაიბევა ადგილი და ამის შემდეგ წაიყვანეს „შავმა ვარსკვლავებმა“ სერბი მწვრთნელი.

* * *

*კაპიტანი:* სტეფან აპია 1980 წლის 24 დეკემბერს აკრაში დაიბადა. საყრდენი ნახევარმცველია და ახლა „ფენერბაჰჩეში“ თამაშობს. 2005 წლის ზაფხულში „იუვენტუსიდან“ მისი წაყვანა „არსენალს“ სურდა, რადგან ვენგერი პატრიკ ვიეირას შემცვლელს ეძებდა, მაგრამ განელი ნახევარმცველი 8 მილიონი ევროს სანაცვლოდ სტამბოლურ კლუბში აღმოჩნდა. აპიამ კარიერა აკრის გუნდებში დაიწყო, „უდინეზეში“ გააგრძელა და სამი სეზონი (1997-2000) იქ გაატარა. უდინედან „პარმას“ მიაშურა, მერე იყო „ბრეშა“. ბოლოს კი, როგორც თავშივე ვთქვით, „იუვეს“ ღირსებას იცავდა, სანამ თურქეთში წავიდოდა.

* * *

*საკვალიფიკაციო ეტაპის ვარსკვლავი:* „უდინეზეს“ ნახევარმცველი სულეი ალი მუნტარი. მასზე ამბობენ, მილანელი კაკასავით პასი აქვს და ედგარ დავიდსივით უტეხიაო. 2005 წლის აგვისტოში, სატრანსფერო ფანჯრის დახურვის შემდეგ გაირკვა, რომ მუნტარი „მანჩესტერ იუნაიტედს“ სურდა, მაგრამ უდინელებმა არ გაატანეს. მანჩესტერელებს 2001-შიც შეეძლოთ განელის ყიდვა, თუმც მაშინ 1 მილიონი გირვანქის გადახდა არ ინებეს.

* * *

*ახლანდელი ვარსკვლავი:* 23 წლის მიკაელ ესიენის სანაცვლოდ „ჩელსიმ“ შარშან 26 მილიონი გირვანქა გადაუხადა „ლიონს“. ესიენი 1982 წლის 3 დეკემბერს დაიბადა. კარიერა განურ „ლიბერტიში“ დაიწყო, პირველად 1999-ში, მსოფლიოს 17-წლამდელთა ჩემპიონატზე გაიბრწყინა და ევროპული კლუბების ყურადღება მიიპყრო. იმავე წლის ივლისში „ბასტიამ“ შეიძინა, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ათამაშებდნენ. ხან მარჯვენა მცველი იყო, ხან მარცხენა, ხანაც ცენტრში იდგა. ბასტიელთა ერთ-ერთი ნახევარმცველის ტრავმამ მას გზა გაუხსნა და საყრდენად გაამწესეს. ამ პოზიციაზე საუკეთესო თვისებები გამოავლინა. 2002 წელს კი ნაკრებში მიიწვიეს აფრიკის ეროვნებათა თასზე. 2002-03 წლების სეზონში მისი საუცხოო თამაშის წყალობით „ბასტია“ უეფას თასზე მოხვდა. ფრანგული კლუბები — „მარსელი“, „ლიონი“ და პსჟ ცდილობდნენ მის წაყვანას, ხოლო ინგლისიდან „ლივერპული“ და „ევერტონი“ აქტიურობდნენ, მაგრამ თავად ფეხბურთელმა „ლიონი“ არჩია. „ლიონში“ შარშან ჩემპიონიც გახდა და ჩემპიონთა ლიგაშიც ბრწყინვალედ ითამაშა, ოღონდ „ჩელსიში“ გადასვლის შანსი რომ გამოუჩნდა, „ლიონს“ გაებუტა. „ჩელსიში“ მინდაო — ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. ლიონელთა პრეზიდენტ ჟან მიშელ ოლას მისი გაყიდვა არ სურდა, მაგრამ ბოლოს მაინც შეელია 26 მილიონ გირვანქად.







აბედი პელე

* * *

*ლეგენდა:* აბედი პელე, აფრიკის სამგზის (1991, 1992, 1993) საუკეთესო ფეხბურთელი. ექვსი წლის განმავლობაში კაპიტნობდა ნაკრებს და ორჯერ მოხვდა ფიფას წლის საუკეთესო ფეხბურთელთა ნომინაციაში. 1993-ში „მარსელის“ მაისურით ჩემპიონთა თასი მოიგო და იმ შეხვედრაშიც უძლიერესად აღიარეს. პელეს 67-ჯერ უთამაშია ნაკრებში და 33 გოლი გაუტანია. „მარსელთან“ ერთად ოთხჯერ გახდა საფრანგეთის ჩემპიონი და ჩემპიონთა თასის მომგები პირველი აფრიკელია.

* * *

*აზრი:* „მსოფლიოს ჩემპიონები ვერ გავხდებით, მაგრამ საუკეთესო შედეგი ალბათ მერვედფინალში გასვლა იქნება“ — დუროსიმი ტომასი, ჟურნალისტი.

## განის ნაკრების ჯგუფური მატჩების განრიგი

| | | |
|---|---|---|
| 12 ივნისი | იტალია — განა | ჰანოვერი |
| 17 ივნისი | ჩეხეთი — განა | კიოლნი |
| 22 ივნისი | განა — აშშ | ნიურნბერგი |

## განის გზა ფინალური ეტაპისაკენ

I საკვალიფიკაციო წრე

| | | |
|---|---|---|
| 16.11.2003 | სომალი — განა | 0:5 |
| 19.11.2003 | განა — სომალი | 2:0 |

II საკვალიფიკაციო წრე. II ჯგუფი

| | | |
|---|---|---|
| 05.06.2004 | ბურკინა ფასო — განა | 1:0 |
| 20.06.2004 | განა — სამხრეთ აფრიკა | 3:0 |
| 03.07.2004 | უგანდა — განა | 1:1 |
| 05.09.2004 | განა — კაბო ვერდე | 2:0 |
| 10.10.2004 | განა — კონგოს დრ | 0:0 |
| 27.05.2005 | კონგოს დრ — განა | 1:1 |
| 05.06.2005 | განა — ბურკინა ფასო | 2:1 |
| 18.06.2005 | სამხრეთ აფრიკა — განა | 0:2 |
| 07.09.2005 | განა — უგანდა | 2:0 |
| 08.10.2005 | კაბო ვერდე — განა | 0:4 |

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| განა | 10 | 6 | 3 | 1 | 17:4 | 21 |
| კონგოს დრ | 10 | 4 | 4 | 2 | 14:10 | 16 |
| სამხრეთ აფრიკა | 10 | 5 | 1 | 4 | 12:14 | 16 |
| ბურკინა ფასო | 10 | 4 | 1 | 5 | 14:13 | 13 |
| კაბო ვერდე | 10 | 3 | 1 | 6 | 8:15 | 10 |
| უგანდა | 10 | 2 | 2 | 6 | 6:15 | 3 |

# ფავორიტი ძველი ნაცნობია



მაკლარენი და ფერგიუსონი



გრიპი და ერიკსონი

## გრიპს მაკლარენი შეეყარა

**ცოტაც** და, ინგლისის ნაკრების ახალი მენეჯერის ვინაობაც გამოცხადდება. ვინაობა კი, ფაქტობრივად ცნობილია, ოღონდაც არაოფიციალურად. წინა კვირაშიც, ლონდონელ ბუქმეიკერთა ფსონებზე დაყრდნობით გაუწყებდით, რომ კანდიდატთა შორის ლიდერობა ხელთ იგდო „მიდლსბროს" მესაჭემ სტივ მაკლარენმა.

ბოლო დღეებამდე ასოციაციის ხუთკაცა კომისიას, რომელმაც მთავარი კანდიდატი უნდა წარუდგინოს ასოციაციის შეფს, სიაში ჰყავდა შემდეგი ადამიანები: ნახსენები მაკლარენი, „ჩარლტონის" მეთაური ალან კერბიშლი, „ბოლტონის" მენეჯერი სემ ალარდაისი, დროებით უმუშევარი ჩრდილოირლანდიელი მარტინ ონილი და პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელი ლუიშ ფელიპე სკოლარი. ამ მენეჯერებთან ხელმეორე გასაუბრების შემდეგ გაირკვა, რომ დარჩენილია ორი კანდიდატი: ალარდაისი და მაკლარენი, ამათ შორის კი უკანასკნელია ფავორიტი.

კერბიშლის დიდად უფასებენ იმას, რომ კომისიასთან საუბრები ბრწყინვალედ გაიარა, მაგარი ტაქტიკოსია და ხელმოკლე „ჩარლტონი" პრემიერლიგის მუდმივ ბინადრად აქცია. ოღონდაც, მას საერთაშორისო გამოცდილება არ აქვს და ეს დიდ ნაკლად ჩაითვალა.

სკოლარიმ, რომელსაც კომისიიდან ძალიან უჭერდა მხარს „არსენალის" ვიცე-პრეზიდენტი დევიდ დინი, უცხოელთა განთქმული მხარდამჭერი და თავის დროზე ერიკსონის მომყვანი, თავადვე ამოირიცხა თავი სიიდან, როცა გუშინწინ თქვა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულებამდე ვერც ერთ წინადადებას ვერ განიხილავს. ეს ბრაზილიელის ტაქტიკური სვლა იყო, მას არ უნდოდა, რომ სიიდან ამორიცხულად გამოჩენილიყო.

თვეების მანძილზე ფავორიტად მარტინ ონილი ითვლებოდა. მას დღესაც მხარს უჭერს ასოციაციის შეფი ბრაიან ბერვიკი, ოღონდაც შეხვედრებისას ონილმა ისეთი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა, როგორიც სხვებმა. ამბობენ, რომ ის, ძველი ოლსტერელი, რთული და მაგარი კაცი, მაინც კლუბის თავკაცობას და ყოველდღიურ საქმეს ამჯობინებს და ალბათ „ნიუკასლის" მენეჯერი შეიქნება.

დარჩენილ ორთაგან ალარდაისს კარგი სახელი აქვს, მაგრამ ის ცნობილია როგორც პირშიმთქმელი, მიმწოლი და ჟინიანი კაცი. ამიტომ თვლიან, რომ მასთან ურთიერთობა და თანამშრომლობა გაჭირდება.

ამიტომ წინ მაკლარენია, რომელიც უამრავი მიზეზითაა სასურველი. მისი „ბორო" ჩემპიონატშიც კარგად თამაშობს და უეფას და ასოციაციის თასების ნახევარფინალშიც გავიდა. მაკლარენს სერ ალექს ფერგიუსონის სკოლა აქვს გავლილი, მის მარჯვენა ხელად დიდხანს უმუშავია მანჩესტერში. რაც ერიკსონი ნაკრების მენეჯერია, მაკლარენი მის მარჯვენა ხელობასაც ითავისებს. ასე რომ, დიდი შეჯიბრების გამოცდილებაც აქვს და ნაკრების დიდი ვარსკვლავებიც პატივსა სცემენ.

ყველას გაეხარდება, თუ მაკლარენი თანამდებობას დაიჭერს. მას ვარსკვლავებთან მუშაობის გამოცდილებაც აქვს და ეხერხება კიდეც: თვით ისეთი აშარი ვინმეები, როგორიც ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი და მარკ ვიდუკა არიან, „ბოროში" თავს კარგად გრძნობენ. ერთი ეს არის, რომ ერიკსონი შიშობს — მაკლარენის დანიშვნის ამბავმა მსოფლიოს ჩემპიონატისას ნაკრების ფეხბურთელებს თავგზა არ აუბნიოს და ის უკვე ბოსად არ ჩათვალონ.

შვედი ამის შესახებ არაფერს ამბობს, მაგრამ შვედი ნომერი 2 — ტორდ გრიპი, ერიკსონის თანაშემწე, აცხადებს, რომ მაკლარენის წინდაწინი დანიშვნა ფეხბურთელებს მისადმი დამოკიდებულებას შეუცვლის მსოფლიოს ჩემპიონატზე, გუნდის ბანაკში, რადგან ისინი მომავალზე ფიქრებს მოუხშირებენ.

სტივ მაკლარენმა იცოდა თავისი ადგილი, ის ნომერი 2 იყო და სვენის მართლაც კარგი დამხმარე. ახლა კი, როცა ის მომავალ ბოსად იქნება დიდ ტურნირზე, გუნდში ფსიქოლოგიურ გართულებებს გამოიწვევსო, თქვა გრიპმა.

ასოციაცია კი მსოფლიოს ჩემპიონატამდეა უცილებლად დაასახელებს ერიკსონის შემცვლელს.

**ირაკლი ბამყრელიძე**
*ლონდონიდან*

## შირ-ერა დასრულდა




**ალან შირერი** შიშობს, რომ მისი კარიერა დაგეგმილზე სამი თამაშით ადრე დამთავრდება. მიზეზი: მატჩში, რომელშიც „ნიუკასლ იუნაიტედმა" „სანდერლენდს" 4:1 მოუგო, ვეტერანმა თავდამსხმელმა ფეხი იტკინა.

„სერიოზული დაზიანება ჩანს. ექიმები ფიქრობენ, რომ ერთ-ერთი მყესი გაწყვეტილია და თუ ეს მართლა ასეა, ვშიშობ, რომ ჩემი კარიერა დასრულებულად შეიძლება მივიჩნიოთ" — დაიჩივლა BBC-სთან საუბარში 35 წლის ვარსკვლავმა, რომელმაც „სანდერლენდთან" ზემოხსენებულ შეხვედრაში პენალტი გაიტანა.

შემდეგ შირერს SKY-მ სთხოვა კომენტარი. მან თქვა: „თუ ეს ბოლო თამაში იყო, სამწუხაროა, რადგან ის სხვანაირად წარმომედგინა. „სანდერლენდთან" პენალტის დარტყმას კი ხუთი თუ ექვსი წელიწადი ველოდი, რადგან ბოლოს ამ გუნდის კარში თერთმეტი მეტრიდან ვერ გავიტანე და გულში მქონდა ჩარჩენილი".

„ნიუკასლ იუნაიტედს" ჩემპიონტში სამი მატჩი აქვს დარჩენილი და შირერიც, შესაბამისად, კარიერის დამთავრებას 7 მაისს „ჩელსისთან" შეხვედრაში აპირებდა.

**პაატუნა ძედია**




**ფრანგულმა** „ნიცამ" „მანჩესტერ იუნაიტედიდან" ნათხოვარი დავიდ ბელიონის კონტრაქტი ბოლომდე გამოისყიდა. „შეთანხმება მიღწეულია და როგორც კი საფრანგეთში სატრანსფერო ფანჯარა გაიხსნება, ბელიონი ოფიციალურად გახდება „ნიცას" ფეხბურთელი. კონტრაქტის ფინანსური მხარე არ ხმაურდება. „კლუბის სახელით წარმატებებს ვუსურვებთ დავიდს" — ნათქვამია „მანჩესტერის" განცხადებაში.

**გერმანული** „მაინცის" ნახევარმცველი ანტონიო და სილვა მომავალი სეზონიდან „შტუტგარტში" ითამაშებს. ბრაზილიელი ახალ კლუბთან ორწლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს. ტრანსფერის ფინანსური დეტალები უცნობია, მაგრამ გერმანული მედია ამტკიცებს, რომ „შტუტგარტი" 1,5 მილიონ ევროს გადაიხდის.

**ესპანური** „ვილიარეალის" არგენტინელი მცველი გონსალო როდრიგესი სულ მცირე, 7 კვირა ვერ ითამაშებს და შესაბამისად მსოფლიოს ჩემპიონატსაც გამოტოვებს. 22 წლის ფეხბურთელმა გასულ პარასკევს „ბარსელონასთან" მატჩში ტერფი იტკინა.

**ფრანგული** პრესის ცნობით, ფაქტობრივად გადაწყდა, რომ „ოსერს" სეზონის ბოლოს ჟაკ სანტინი დატოვებს. ამაზე დიდი ხანია საუბრობენ, რადგანაც მას კლუბის უფროსობასთან დაძაბული ურთიერთობა აქვს. ამბობენ, სანტინის ამჟამად უმუშევარი ალან პერინი, ანაც „სენტ ეტიენის" თავკაცი ელი ბოპი შეცვლისო.

**ბრაზილიელ** პლეიმეიკერ დენილსონს „ბორდოში" დარჩენა უნდა. 29 წლის ფეხბურთელი ჟირონდულ გუნდში გასულ ზაფხულს გადავიდა „ბეტისიდან" და კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „ძალიან მინდა, აქ დავრჩე და ჩემპიონთა ლიგაში ვითამაშო. ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებას დაველოდები. ყველაფერი ალბათ 15 დღეში გაირკვევა" — თქვა დენილსონმა.

**ესპანური** „ატლეტიკოს" ფორვარდები, მატეა კეჟმანი და ფერნანდო ტორესი დაშავდნენ. ისინი, ალბათ, დარჩენილი ხუთი მატჩიდან სამში გუნდს ვერ დაეხმარებიან. ტორესს, რომელიც „ატლეტიკოს" ბომბარდირია, მუხლის ტკივილი აწუხებს, სოლო კეჟმანი „ბილბაოსთან" მატჩში ზურგზე დაეცა და წელი სტკივა.

**ინგლისური** „ბირმინგემის" მცველი მეტიუ აპსონი სერიოზულად დაშავდა. 27 წლის ფეხბურთელმა მყესები გაიწყვიტა და მალე ოპერაციას გაუკეთებენ. მას ექვსი თვე უქმობა მოუწევს და შესაბამისად, მუნდიალსაც გამოტოვებს.

# კალდერონს მარტინი ყელზე დაადგა

## მეფის ფული ფულემისთვის



ლუიშ ბოა მორტე

**„რეალის“** დირექტორატის ერთ-ერთმა წევრმა რამონ კალდერონმა, სამეფო გუნდის ახალი პრეზიდენტი ფერნანდო მარტინი გააკრიტიკა. სენიორ კალდერონი დირექტორატიდან წასვლით დაიმუქრა, მის რამდენიმე მოთხოვნას თუ არ შეასრულებენ.

„რეალი“ რომ კრიზისშია, ამაში ჩემ თავს არ ვადანაშაულებ, ხალხმა კი რატომღაც საბრალდებო სკამისთვის გამიმეტა. ძალიან არ მინდა, ჩემ მიმართ ასეთი დამოკიდებულება არსებობდეს. მოვითხოვ ახალი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებას, რადგანაც ფერნანდო მარტინმა თავისი დაპირებები ვერ შეასრულა. ის ამბობდა, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას დირექტორატის წევრებს რჩევას დაეკითხებოდა, თუმცა ამას არ აკეთებს. ფერნანდო მარტინმა ცვლილებები აღგვითქვა, მაგრამ დღემდე „რეალში“ არავითარი სიახლე არაა. თუ სიტუაცია არ შეიცვლება, დირექტორიტადნ და საერთოდ „რეალიდან“ წავალ“ — სულმოუთქმელად ჩამოარაკრაკა რამონ კალდერონმა თავისი საჩივარი „მარკასთან“ ინტერვიუში.

ამასობაში, სამეფო თეთრები თავის ყოველდღიურ ცხოვრებას აგრძელებენ. ესპანური გაზეთებიდან შევიტყვეთ, რომ „რეალს“ მომავალი სეზონისთვის ინგლისური „ფულემის“ ფეხბურთელების, ლუიშ ბოა მორტეს და უეინ ბრიჯის ყიდვა ჩაუფიქრებია. პორტუგალიელი ბოა მორტე 1997 წელს მივიდა პრემიერლიგაში, კერძოდ „არსენალში“ და ახლა „ფულემში“ თავის საუკეთესო სეზონს ატარებს. სულ, ინგლისის ჩემპიონატში ბოა მორტემ 226 მატჩში 46 გოლი შეაგდო. „ასის“ ცნობით, პორტუგალიელი ფეხბურთელის ყიდვა „რეალს“ 9-10 მილიონი ევრო დაუჯდება.

უეინ ბრიჯი 26 წლისაა და სეზონის ბოლომდე „ჩელსიდან“ „ფულემში“ იჯირთაა განათხოვრებული. ბრიჯის სატრანსფერო ფასზე პირინეული მედია არაფერს ამბობს.

„ბერნაბეუზე“ უცხოელები ალბათ მივლენ და შინაურებიც იქ დარჩენას აპირებენ. ტყუილი გამოდგა მოარული ხმები, დევიდ ბექემი სეზონის დასასრულს მადრიდს დატოვებს და ინგლისურ პრემიერლიგას დაუბრუნდებაო. „მარკაში“ ნათქვამია, რომ „რეალის“ ნახევარმცველს სამეფო გუნდთან კონტრაქტის გახანგრძლივება 2009 წლის 30 ივნისამდე უნდა.



ფერნანდო მარტინი

„თუ რაიმე უცნაური არ მოხდა, ბექემი „რეალთან“ ხელშეკრულებას აუცილებლად განაახლებს“ — გვამცნობს „მარკა“. შეგახსენებთ, რომ დევიდ ბექემის კონტრაქტს ყავლი 2007 წლის 30 ივნისს გასდის.

**ლადო ხომერიკი**

# ფარფანის ფანები: ბარსა და ჩელსი

**ჰოლანდიური** პსვ-ს თავდამსხმელ ჯეფერსონ ფარფანის შეძენა რამდენიმე ევროპულ კლუბს უნდა. „ბარსელონას“ და „ჩელსის“ სატრანსფერო ზრახვათა შესახებ ესპანურ მედიას, პერუელი ფეხბურთელის აგენტი რაულ გონსალესი გაესაუბრა.

„მარკასთან“ აგენტმა განაცხადა, რომ „ბარსას“ და „ჩელსის“ წარმომადგენლები ჯეფერსონ ფარფანს აკვირდებიან. პერუელმა საამსეზონოდ ჰოლანდიის ჩემპიონატში 21 გოლი შეაგდო და პსვ-ს ოქროსმედალოსნობაში თავისი წვლილი შეიტანა.

„ფარფანს უფრო „ბარსელონაში“, ან „ჩელსიში“ აინტერესებს თამაში, თუმცა სატრანსფერო წინადადებით სხვა გუნდებმაც მოგვმართეს“ — თქვა რაულ გონსალესმა. მისი აზრით, პერუელი ფორვარდის მთხოვნელთა რიცხვი მომავალში კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს, თუმცა შეიძლება, გუნდებმა ბევრი ფული არ გაიმეტონ. წინ მსოფლიოს ჩემპიონატია და ვინძლო ფარფანზე მეტად დახვეწილი ოსტატებიც გამოჩნდნენ საფეხბურთო ჰორიზონტზეო.

„ჯეფერსონი ამ მხრივ წაგებაშია, პერუს ნაკრები მუნდიალს მიღმა დარჩა და მას თავის გამოჩენის საშუალება ნაკლებად აქვს“ — აღნიშნა სამხრეთამერიკელი მოთამაშის აგენტმა.

რაულ გონსალესმა „მარკასთან“ ისიც თქვა, ფარფანი ჰოლანდიაში ყოფნით ბედნიერია და თუ გრანდებთან მოლაპარაკება ჩაიშალა, პსვ-ში კიდევ ერთი წლით სიამოვნებით დარჩებაო. თავის დროზე პსვ-მ პერუელი



1,5 მილიონ ევროდ იყიდა, ახლა კი ჯეფერსონ ფარფანი სატრანსფერო ბაზარზე 15 მილიონი ევრო ღირს.

**ლადო ხომერიკი**

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XXXV ტური

**ვესტ ბრომვიჩი 0:0 ბოლტონი**

**ვესტ ბრომვიჩი:** კუშჩაკი, კლემენტი, კერტის დევისი, პ. რობინსონი, ს. უოტსონი, ჯ. გრინინგი, ე. ჯონსონი, ქვოში, კ. კემპბელი (ნ. კანუ 73), გერა, დ. კამარა (ნიკოლსონი 75)
მწვრთნელი: ბრაიან რობსონი
**ბოლტონი:** იასკელაინენი, ჰანტი, ნგოტი, აბდულა ფეიე, რ. გარდნერი, იანაკოპულოსი (ვაზ ტე 83), ჰ. ნაკატა, კ. ნოლანი, ოკოჩა, სპიდი, კევინ დევისი
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
მსაჯი: გალაჰერი
23 181 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 35 | 28 | 4 | 3 | 69:21 | 88 |
| მანჩესტერი | 35 | 24 | 7 | 4 | 68:31 | 79 |
| ლივერპული | 35 | 22 | 7 | 6 | 49:22 | 73 |
| ტოტენჰემი | 35 | 17 | 10 | 8 | 50:35 | 61 |
| არსენალი | 34 | 17 | 6 | 11 | 57:27 | 57 |
| ბლექბერნი | 34 | 16 | 6 | 12 | 45:40 | 54 |
| ნიუკასლი | 35 | 15 | 6 | 14 | 43:42 | 51 |
| ბოლტონი | 34 | 13 | 10 | 11 | 43:38 | 49 |
| ვესტ ჰემი | 35 | 14 | 7 | 14 | 49:52 | 49 |
| უიგანი | 34 | 14 | 6 | 14 | 39:43 | 48 |
| ჩარლტონი | 35 | 13 | 8 | 14 | 40:45 | 47 |
| ევერტონი | 34 | 13 | 5 | 16 | 29:45 | 44 |
| მიდლსბრო | 34 | 12 | 7 | 15 | 47:55 | 43 |
| სიტი | 34 | 12 | 4 | 18 | 40:41 | 40 |
| ასტონ ვილა | 34 | 9 | 12 | 13 | 37:47 | 39 |
| ფულემი | 34 | 11 | 6 | 17 | 43:55 | 39 |
| პორტსმუთი | 35 | 8 | 8 | 19 | 32:57 | 32 |
| ბირმინგემი | 34 | 7 | 8 | 19 | 26:48 | 29 |
| ვესტბრომვიჩი | 35 | 7 | 8 | 20 | 29:52 | 29 |
| სანდერლენდი | 33 | 2 | 5 | 26 | 20:59 | 11 |

რეკლამა
სარბიელ-ში
ტელ: 38-11-14,
877 54 55 00

## პორტუგალია

### სუპერლიგა. XXXI ტური

**ბრაგა 2:3 ფერეირა**

0:1 დიდი (14), 0:2 მ. ჟუნიორი (53), 1:2 დელიბაშიჩი (69), 1:3 დიდი (70), 2:3 ჟოაუ ტომაში (81)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 31 | 22 | 6 | 3 | 49:14 | 72 |
| სპორტინგი | 31 | 20 | 5 | 6 | 46:23 | 65 |
| ბენფიკა | 31 | 19 | 6 | 6 | 48:25 | 63 |
| ბრაგა | 31 | 16 | 6 | 9 | 34:20 | 54 |
| ბოავიშტა | 31 | 12 | 12 | 7 | 35:26 | 48 |
| ნასიონალი | 31 | 13 | 8 | 10 | 37:30 | 47 |
| სეტუბალი | 31 | 14 | 3 | 14 | 27:30 | 45 |
| ლეირია | 31 | 11 | 7 | 13 | 36:39 | 40 |
| მარიტიმუ | 31 | 9 | 12 | 10 | 34:34 | 39 |
| ამადორა | 31 | 10 | 8 | 13 | 28:32 | 38 |
| ბელენენსეში | 31 | 11 | 4 | 16 | 39:40 | 37 |
| აკადემიკა | 31 | 10 | 7 | 14 | 35:43 | 37 |
| ფერეირა | 31 | 10 | 7 | 14 | 33:46 | 37 |
| ნავალი | 31 | 10 | 5 | 16 | 34:46 | 35 |
| რიუ ავე | 31 | 8 | 10 | 13 | 31:44 | 34 |
| ჟილ ვისენტე | 31 | 9 | 6 | 16 | 34:41 | 33 |
| გიმარაეში | 31 | 8 | 9 | 14 | 26:36 | 33 |
| პენაფიელი | 31 | 2 | 9 | 20 | 21:58 | 15 |

## რუსეთი

### პრემიერლიგა. V ტური

**დინამო 0:1 როსტოვი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 5 | 3 | 1 | 1 | 11:5 | 10 |
| რუბინი | 5 | 3 | 1 | 1 | 6:4 | 10 |
| ტომი | 5 | 3 | 1 | 1 | 4:3 | 10 |
| მოსკვა | 5 | 3 | 1 | 1 | 5:6 | 10 |
| სპარტაკი ნ. | 5 | 2 | 2 | 1 | 9:7 | 8 |
| კრილია | 5 | 2 | 2 | 1 | 5:4 | 8 |
| როსტოვი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:3 | 7 |
| ზენიტი | 4 | 2 | 1 | 1 | 9:6 | 7 |
| სატურნი | 5 | 1 | 4 | 0 | 5:2 | 7 |
| სპარტაკი მ. | 5 | 1 | 3 | 1 | 6:7 | 6 |
| ამკარი | 5 | 1 | 2 | 2 | 4:6 | 5 |
| ტორპედო | 5 | 0 | 4 | 1 | 3:4 | 4 |
| ლოკომოტივი | 5 | 1 | 1 | 3 | 7:9 | 4 |
| დინამო | 5 | 0 | 2 | 3 | 4:7 | 2 |
| ლუჩ-ენერგია | 5 | 0 | 2 | 3 | 4:8 | 2 |
| შინიკი | 5 | 0 | 2 | 3 | 2:10 | 2 |

## გერმანია

### II ბუნდესლიგა. XXX ტური

**ალემანია 0:2 ბოხუმი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოხუმი | 30 | 18 | 8 | 4 | 51:21 | 62 |
| ალემანია | 30 | 19 | 4 | 7 | 56:31 | 61 |
| კოტბუსი | 30 | 15 | 8 | 7 | 45:29 | 53 |
| ფიურტი | 30 | 13 | 8 | 9 | 46:39 | 47 |
| კარლსრუე | 30 | 13 | 8 | 9 | 42:37 | 47 |
| ფრაიბურგი | 30 | 13 | 7 | 10 | 35:30 | 46 |
| ჰანზა | 30 | 13 | 4 | 13 | 41:40 | 43 |
| აუე | 30 | 11 | 9 | 10 | 35:33 | 42 |
| პადერბორნი | 30 | 11 | 7 | 12 | 39:30 | 40 |
| ბრაუნშვაიგი | 30 | 12 | 4 | 14 | 34:38 | 40 |
| ბურგჰაუზენი | 30 | 10 | 10 | 10 | 36:44 | 40 |
| უნტერჰახინგი | 30 | 11 | 5 | 14 | 40:41 | 38 |
| მიუნხენი | 30 | 9 | 9 | 12 | 37:40 | 36 |
| ზაარბრიუკენი | 30 | 10 | 5 | 15 | 35:56 | 35 |
| ოფენბახი | 30 | 9 | 7 | 14 | 32:51 | 34 |
| დინამო | 30 | 8 | 7 | 15 | 30:42 | 31 |
| ალენი | 30 | 7 | 8 | 15 | 31:44 | 29 |
| ზიგენი | 30 | 6 | 6 | 18 | 29:48 | 24 |

## საფრანგეთი

### II დივიზიონი. XXXIV ტური

**ლორიანი 5:0 ბრესტი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალანსიენი | 34 | 18 | 11 | 5 | 46:26 | 65 |
| სედანი | 34 | 17 | 13 | 4 | 46:28 | 64 |
| ლორიანი | 34 | 17 | 10 | 7 | 44:22 | 61 |
| კაენი | 34 | 15 | 12 | 7 | 48:31 | 57 |
| ბასტია | 34 | 16 | 8 | 10 | 44:32 | 56 |
| დიჟონი | 34 | 14 | 11 | 9 | 40:30 | 53 |
| კრეტეი | 34 | 12 | 13 | 9 | 42:28 | 49 |
| ლე ავრი | 34 | 11 | 14 | 9 | 44:39 | 47 |
| გენგამი | 34 | 10 | 14 | 10 | 31:26 | 44 |
| გრენობლი | 34 | 11 | 11 | 12 | 37:40 | 44 |
| გენიონი | 34 | 10 | 14 | 10 | 24:32 | 44 |
| მონპელიე | 34 | 11 | 10 | 13 | 31:38 | 43 |
| რეიმსი | 34 | 9 | 15 | 10 | 28:23 | 42 |
| ისტრი | 34 | 10 | 10 | 14 | 28:43 | 40 |
| ამიენი | 34 | 8 | 14 | 12 | 30:40 | 38 |
| შატორუ | 34 | 8 | 13 | 13 | 39:43 | 37 |
| ბრესტი | 34 | 7 | 14 | 13 | 30:42 | 35 |
| ლავალი | 34 | 8 | 8 | 18 | 32:51 | 32 |
| კლერმონი | 34 | 8 | 8 | 18 | 28:53 | 32 |
| სეტე | 34 | 3 | 11 | 20 | 27:52 | 20 |

## ჩეხეთი

### გამბრინუსლიგა. XXV ტური

**პლზენი 1:1 ლიბერეცი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიბერეცი | 25 | 14 | 9 | 2 | 35:16 | 51 |
| ბოლესლავი | 25 | 13 | 6 | 6 | 39:29 | 45 |
| ტეპლიცე | 25 | 10 | 13 | 2 | 31:19 | 43 |
| სლავია | 24 | 11 | 8 | 5 | 42:29 | 41 |
| სპარტა | 24 | 10 | 5 | 9 | 35:32 | 35 |
| იაბლონეცი | 25 | 9 | 6 | 10 | 31:32 | 33 |
| სიგმა | 24 | 9 | 5 | 10 | 30:35 | 32 |
| მოსტი | 25 | 9 | 4 | 12 | 26:32 | 31 |
| პრჟიბრამი | 24 | 7 | 8 | 9 | 31:28 | 29 |
| ზლინი | 24 | 7 | 8 | 9 | 21:26 | 29 |
| ბანიკი | 23 | 7 | 7 | 9 | 20:23 | 28 |
| სლოვაცკო | 25 | 6 | 9 | 10 | 23:27 | 27 |
| პლზენი | 25 | 5 | 10 | 10 | 25:31 | 25 |
| ბრნო | 22 | 4 | 11 | 7 | 22:24 | 23 |
| ბლშანი | 24 | 4 | 11 | 9 | 17:32 | 23 |
| იჰლავა | 24 | 4 | 10 | 10 | 14:27 | 22 |

## ნორვეგია

### ტიპელიგა. II ტური

ოდ გრენლანდი — მიოლდე 0:0; რუსენბორგი — სტარტი 3:0; სანდეფიორდი — ჰამ კამი 2:1; ტრომსიო — სტაბეკი 0:1; ვიკინგი — ფრედრიკსტადი 1:1; ლინი — ვოლერენგა 2:1. *ბრანი — ლილესტრიომი წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-16 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი | 2 | 1 | 1 | 0 | 6:3 | 4 |
| მიოლდე | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| სანდეფიორდი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ლინი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| სტაბეკი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| ფრედრიკსტადი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| ვიკინგი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ოდ გრენლანდი | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 2 |
| ლილესტრიომი | 1 | 0 | 1 | 0 | 3:3 | 1 |
| ბრანი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ჰამ კამი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ვოლერენგა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| სტარტი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | 1 |
| ტრომსიო | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |




**ინგლისის** ნაკრების მწვრთნელ სვენ გორან ერიკსონს საფიქრალი დაემატა. ლონდონის „ტოტენჰემის“ კაპიტანმა ლედლი კინგმა „ევერტონთან“ მატჩში ფეხის თითი მოიტეხა და მსოფლიოს ჩემპიონატზე მისი თამაში საეჭვოა. „სარეაბილიტაციო პერიოდი 3-4 კვირას გასტანს“ - ნათქვამია „ტოტენჰემის“ ოფიციალურ განცხადებაში.

**არგენტინელ** პაბლო აიმარს საავადმყოფოდან მალე გამოწერენ. მოგეხსენებათ, „ვალენსიას“ ნახევარმცველი ცოტა ხნის წინ ვირუსული მენინგიტის დიაგნოზით გააქანეს ჰოსპიტალში. საბედნიეროდ, საგანგაშო არაფერი აღმოჩნდა და აიმარი ცოტა ხანში თამაშს განაახლებს.

**ინგლისური** „ასტონ ვილას“ ფორვარდი ხუან პაბლო ანხელი გუნდის გამოცვლაზე ფიქრობს. მიმდინარე სეზონში ძირითად შემადგენლობაში ოდენ სამი მატჩი ჩაატარა და ორი გოლი გაიტანა. „უნდა დავსხდეთ და ყველაფერზე ვიმსჯელოთ. მინდა, ძირითად შემადგენლობაში ვითამაშო. თუ კლუბი ამის გარანტიას ვერ მომცემს, წავალ“ - თქვა ანხელმა.

**იტალიელი** ნახევარმცველი ოსმან დაბო შესაძლოა, „მანჩესტერ სიტიში“ აღმოჩნდეს. 29 წლის ფეხბურთელი სავარუდოდ „ლაციოში“ აღარ დარჩება და ზაფხულში თავისუფალი აგენტის სტატუსით სხვა კლუბში გადავა. „სიტის“ თავკაცი სტიუარტ პირსი გასულ უქმეებზე უკვე შეხვდა დაბოს, მაგრამ შეთანხმება ჯერ მიღწეული არაა.

**გერმანულმა** „შტუტგარტმა“ მწვრთნელ არმინ ფეესთან კონტრაქტი 2007 წლამდე გაახანგრძლივა. ფეემ თებერვალში ჯოვანი ტრაპატონი შეცვალა და ექვსთვიანი კონტრაქტი გაუფორმეს, ახლა კი შრომა დაუფასეს და წლის ბოლომდე დატოვებენ, მიუხედავად იმისა, რომ გუნდმა მისი თავკაცობით ათიდან მხოლოდ სამი მატჩი მოიგო.

**ინგლისურ** „ტოტენჰემს“ „ინტერიდან“ ობაფემი მარტინსის შეძენა სურს და საამისოდ 8 მილიონი ევროც გაუმზადებია. ნიგერიელი ფორვარდი ამ სეზონში არ ბრწყინავდა, „ინტერი“ კი მის გაყიდვას აპირებს.

**იტალიური** „იუვენტუსის“ ტრავმირებული ფეხბურთელები — ტრეზეგე და ემერსონი გამოკეთდნენ. მათ გუშინ ვარჯიში განაახლეს და მომდევნო ტურში ძირითად შემადგენლობაში ითამაშებენ. შეგახსენებთ, რომ გასულ უქმეებზე „კალიარისთან“ მატჩი ორივემ გამოტოვა, „იუვემ“ კი ვერ მოიგო.

სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 10 | ბირმინგემი-ბლექბერნი | 2.35 | 3.20 | 2.80 | 1.35 | 1.27 | 1.49 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი** | | | | | | |
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 106 | სკარბორო-გრეისი | 3.40 | 3.30 | 1.90 | 1.67 | 1.21 | 1.20 |
| | | **გერმანია. I ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **22 აპრილი** | | | | | | |
| 17:30 | 134 | არმინია-ვოლფსბურგი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 17:30 | 135 | დორტმუნდი-ნიურნბერგი | 1.80 | 3.30 | 4.10 | 1.16 | 1.25 | 1.82 |
| 17:30 | 136 | ჰამბურგი-ლევერკუზენი | 1.65 | 3.50 | 4.50 | 1.12 | 1.20 | 1.96 |
| 17:30 | 137 | კაიზერსლაუტერნი-ჰანოვერი | 2.10 | 3.30 | 3.10 | 1.28 | 1.25 | 1.59 |
| 17:30 | 138 | კიოლნი-დუისბურგი | 1.85 | 3.30 | 3.80 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| 17:30 | 139 | მიონხენგლადბახი-ჰერტა | 2.55 | 3.10 | 2.55 | 1.39 | 1.27 | 1.39 |
| 17:30 | 140 | შტუტგარტი-აინტრახტი | 1.75 | 3.40 | 4.20 | 1.15 | 1.23 | 1.87 |
| | | **23 აპრილი** | | | | | | |
| 19:30 | 141 | მაინცი-ბაიერნი | 4.70 | 3.50 | 1.60 | 2.00 | 1.19 | 1.09 |
| 19:30 | 143 | ვერდერი-შალკე | 1.85 | 3.20 | 3.80 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)** | | | | | | |
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 20:00 | 158 | კარლ ცაისი-ოსნაბრიუკი | 1.55 | 3.40 | 4.80 | 1.06 | 1.17 | 1.99 |
| 21:30 | 159 | ვუპერტალი-ჰამბურგი(მ) | 1.85 | 3.30 | 3.45 | 1.18 | 1.20 | 1.68 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.)** | | | | | | |
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 20:15 | 173 | ბაირატი-კარლსრუე(მ) | 2.10 | 3.10 | 3.00 | 1.25 | 1.23 | 1.52 |
| | | **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **20 აპრილი** | | | | | | |
| 21:30 | 196 | ბაზელი-სტ.გალენი | 1.25 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.33 |
| 21:30 | 198 | შაფჰაუზენი-თუნი | 2.30 | 3.20 | 2.75 | 1.33 | 1.25 | 1.47 |
| 20:45 | 199 | ქსამაქსი-იანგ ბოიზი | 3.10 | 3.20 | 2.10 | 1.57 | 1.25 | 1.26 |
| 21:30 | 201 | ივერდონი-გრასჰოპერი | 2.80 | 3.20 | 2.30 | 1.49 | 1.26 | 1.33 |
| 21:30 | 202 | ციურიხი-აარაუ | 1.40 | 4.00 | 7.00 | 1.03 | 1.16 | 2.54 |
| | | **შვეიცარია. ჩელენჯლიგა** | | | | | | |
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 21:30 | 209 | კონკორდია-მეირინი | 1.50 | 3.70 | 5.10 | 1.06 | 1.15 | 2.14 |
| 21:30 | 210 | შო დე ფონი-ლუცერნი | 3.00 | 3.20 | 2.05 | 1.54 | 1.21 | 1.24 |
| | | **20 აპრილი** | | | | | | |
| 21:30 | 211 | ბელინცონა-ლუგანო | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| 21:30 | 212 | კიასო-ლოკარნო | 1.35 | 4.20 | 6.50 | 1.02 | 1.11 | 2.55 |
| 21:30 | 214 | კრინსი-ლოზანა | 3.50 | 3.30 | 1.85 | 1.69 | 1.21 | 1.18 |
| 21:30 | 215 | ვილი-ვინტერთური | 1.75 | 3.30 | 3.85 | 1.14 | 1.20 | 1.77 |
| 21:30 | 216 | ვოლენი-სიონი | 3.20 | 3.20 | 2.00 | 1.60 | 1.23 | 1.23 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **22 აპრილი** | | | | | | |
| 22:00 | 269 | ალავესი-ატლეტიკო | 2.45 | 3.10 | 2.75 | 1.36 | 1.29 | 1.45 |
| 23:45 | 273 | სელტა-სარაგოსა | 1.90 | 2.90 | 4.20 | 1.14 | 1.30 | 1.71 |
| 20:00 | 280 | ვილიარეალი-სოსიედადი | 1.90 | 3.20 | 3.90 | 1.19 | 1.27 | 1.75 |
| | | **23 აპრილი** | | | | | | |
| 19:00 | 270 | ბილბაო-ვალენსია | 2.90 | 3.00 | 2.40 | 1.47 | 1.31 | 1.33 |
| 19:00 | 272 | კადისი-დეპორტივო | 2.80 | 3.00 | 2.45 | 1.44 | 1.30 | 1.34 |
| 19:00 | 274 | ესპანიოლი-ბეტისი | 2.20 | 3.00 | 3.30 | 1.26 | 1.32 | 1.57 |
| 19:00 | 275 | მალიორკა-ოსასუნა | 2.45 | 3.10 | 2.75 | 1.36 | 1.29 | 1.45 |
| 21:00 | 276 | რეალი-მალაგა | 1.15 | 6.50 | 14.00 | 1.00 | 1.06 | 4.43 |
| 19:00 | 278 | რასინგი-ხეტაფე | 2.15 | 3.10 | 3.30 | 1.26 | 1.30 | 1.59 |
| 23:00 | 279 | სევილია-ბარსელონა | 2.90 | 3.10 | 2.35 | 1.49 | 1.29 | 1.33 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 22:00 | 570 | ჰერაკლესი-ნაიმეგენი | 2.45 | 3.20 | 2.50 | 1.38 | 1.23 | 1.40 |
| 22:00 | 571 | ვალვაიკი-ვიტესი | 2.35 | 3.30 | 2.65 | 1.37 | 1.24 | 1.46 |
| | | **20 აპრილი** | | | | | | |
| 22:00 | 572 | გრონინგენი-ალკმაარი | 2.65 | 3.20 | 2.35 | 1.44 | 1.24 | 1.35 |
| 22:15 | 573 | აიაქსი-ფეიენოორდი | 2.10 | 3.30 | 3.10 | 1.28 | 1.25 | 1.59 |
| | | **რუსეთი** | | | | | | |
| | | **22 აპრილი** | | | | | | |
| 19:00 | 359 | ამკარი-ტომსკი | 2.15 | 3.00 | 3.10 | 1.25 | 1.26 | 1.52 |
| 14:00 | 360 | ცსკა-სატურნი | 1.45 | 3.50 | 6.50 | 1.02 | 1.18 | 2.27 |
| 10:00 | 361 | ენერგია-ტორპედო | 2.30 | 2.90 | 3.10 | 1.28 | 1.32 | 1.49 |
| | | **23 აპრილი** | | | | | | |
| 16:00 | 362 | კრილია-დინამო | 2.40 | 2.90 | 2.80 | 1.31 | 1.29 | 1.42 |
| 16:00 | 363 | ლოკომოტივი-რუბინი | 1.70 | 3.20 | 4.40 | 1.11 | 1.22 | 1.85 |
| 16:00 | 364 | როსტოვი-შინიკი | 1.70 | 3.20 | 4.80 | 1.11 | 1.25 | 1.91 |
| 14:00 | 365 | სპარტაკი-მოსკოვი | 1.65 | 3.20 | 5.00 | 1.08 | 1.24 | 1.95 |
| 16:00 | 366 | ნალჩიკი-ზენიტი | 3.30 | 3.00 | 2.15 | 1.57 | 1.30 | 1.25 |
| | | **პოლონეთი** | | | | | | |
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 20:30 | 368 | გურნიკი-პოგონი | 2.20 | 3.00 | 3.00 | 1.26 | 1.26 | 1.50 |
| 20:30 | 369 | ლეჩნა-გროცლინი | 2.50 | 3.00 | 2.50 | 1.36 | 1.25 | 1.36 |
| 20:30 | 370 | ზაგლებე-პლოცკი | 1.65 | 3.50 | 4.00 | 1.12 | 1.16 | 1.86 |
| | | **ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 19:00 | 380 | პრჟიბრამი-ბანიკი | 2.20 | 2.90 | 3.20 | 1.25 | 1.30 | 1.52 |
| 19:00 | 381 | იპლავა-სპარტა | 6.00 | 3.50 | 1.50 | 2.21 | 1.20 | 1.04 |
| 19:00 | 382 | ზლინი-სიგმა | 2.35 | 2.80 | 3.00 | 1.27 | 1.31 | 1.44 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა** | | | | | | |
| | | **20 აპრილი** | | | | | | |
| 21:00 | 466 | ჰალმსტადი-ელფსბორგი | 2.50 | 3.20 | 2.65 | 1.40 | 1.28 | 1.44 |
| 21:00 | 467 | კალმარი-იურგორდენი | 3.00 | 3.20 | 2.20 | 1.54 | 1.26 | 1.30 |
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 19:30 | 490 | ჰონკა-ვპს | 1.75 | 3.40 | 4.00 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 19:30 | 492 | ლაჰტი-ინტერი | 1.85 | 3.20 | 3.80 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| | | **21 აპრილი** | | | | | | |
| 20:00 | 495 | კტპ-ჰიკ | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| | | **ირლანდია** | | | | | | |
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 496 | სტ.პატრიკსი-ბრეი | 1.85 | 3.20 | 3.80 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| | | **ჩემპიონთა ლიგა** | | | | | | |
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 543 | არსენალი-ვილიარეალი | 1.60 | 3.40 | 5.80 | 1.08 | 1.25 | 2.14 |

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **უეფას თასი** | | | | | | |
| | | **20 აპრილი** | | | | | | |
| 22:30 | 545 | შალკე-სევილია | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| 21:30 | 546 | სტიაუა-მიდლსბრო | 2.25 | 3.10 | 3.10 | 1.30 | 1.30 | 1.54 |
| | | **საფრანგეთი. თასი** | | | | | | |
| | | **20 აპრილი** | | | | | | |
| 19:00 | 564 | მარსელი-რენი | 1.90 | 2.90 | 4.20 | 1.14 | 1.30 | 1.71 |
| 22:45 | 565. | ნანტი-პსჟ | 2.60 | 2.80 | 2.80 | 1.34 | 1.34 | 1.39 |
| | | **თურქეთი. თასი** | | | | | | |
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 21:00 | 566 | ბეშიქთაში-გაზიანთეფი | 1.40 | 3.80 | 7.00 | 1.02 | 1.16 | 2.46 |
| | | **ჩეხეთი. თასი** | | | | | | |
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 20:00 | 549 | სლოვაცკო-ბრნო | 1.40 | 3.50 | 7.30 | 1.00 | 1.17 | 2.36 |
| | | **დანია. თასი** | | | | | | |
| | | **20 აპრილი** | | | | | | |
| 22:00 | 550 | ესბიერგი-ბრიონდბიუ | 2.75 | 3.20 | 2.25 | 1.47 | 1.23 | 1.32 |
| 21:00 | 551 | რანდერსი-ოლბორგი | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| | | **ავსტრია. თასი** | | | | | | |
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 20:30 | 569 | აუსტრია-რიდი | 1.50 | 3.60 | 6.00 | 1.05 | 1.20 | 2.25 |
| | | **ლიბერტადორესის თასი** | | | | | | |
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 23:45 | 556 | გოიასი-უნ.ესპანიოლა | 1.40 | 4.00 | 6.50 | 1.03 | 1.15 | 2.47 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 557 | ნიუელზი-სტრონგესტი | 1.25 | 5.00 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 3.14 |
| 23:45 | 558 | კორინთიანსი-დეპორტივო | 1.20 | 5.30 | 9.50 | 1.00 | 1.06 | 3.40 |
| 23:45 | 559 | ტიგრესი-უნ.კატოლიკა | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| | | **20 აპრილი** | | | | | | |
| 23:45 | 560 | პაულისტა-ნასიონალი | 1.70 | 3.20 | 4.50 | 1.11 | 1.23 | 1.87 |
| 23:45 | 561 | რივერ პლეიტი-ლიბერტადი | 1.35 | 4.20 | 6.50 | 1.02 | 1.11 | 2.55 |
| 23:45 | 562 | სან პაულუ-კარაკასი | 1.15 | 5.50 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 3.77 |
| 23:45 | 563 | ჩივასი-სიენსიანო | 1.15 | 5.50 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 3.77 |
| | | **კალათბურთი. ესპანეთი** | | | | | | |
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 22:30 | 697 | ტაუ-ბილბაო | 1.08 | 12.00 | 5.00 | 1.00 | 1.00 | 3.52 |
| 23:00 | 698 | გრანადა-ესტუდიანტესი | 1.80 | 12.00 | 1.80 | 1.56 | 1.00 | 1.56 |
| 23:30 | 699 | აუნაკაბლე-ბარსელონა | 2.10 | 12.00 | 1.65 | 1.78 | 1.00 | 1.45 |
| 23:30 | 704 | ბრეოგანი-ფუენლაბრადა | 1.55 | 12.00 | 2.00 | 1.37 | 1.00 | 1.71 |
| | | **20 აპრილი** | | | | | | |
| 22:30 | 696 | ვალენსია-სან ფერნანდო | 1.50 | 12.00 | 2.30 | 1.33 | 1.00 | 1.93 |
| 22:15 | 700 | რეალი-ხუვენტუდი | 1.55 | 12.00 | 2.25 | 1.37 | 1.00 | 1.89 |
| 22:30 | 701 | მანრესა-ალიკანტე | 1.60 | 12.00 | 2.10 | 1.41 | 1.00 | 1.78 |
| 22:30 | 702 | ხირონა-მენორკა | 1.12 | 12.00 | 4.20 | 1.02 | 1.00 | 3.11 |
| 22:45 | 703 | ვალიადოლიდი-უნიკახა | 2.30 | 12.00 | 1.45 | 1.93 | 1.00 | 1.29 |
| | | **კალათბურთი. საბერძნეთი** | | | | | | |
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 714 | ლარისა-პანელინიოსი | 1.95 | 12.00 | 1.70 | 1.67 | 1.00 | 1.48 |
| 18:00 | 715 | პაოკ-ირაკლისი | 1.30 | 12.00 | 2.90 | 1.17 | 1.00 | 2.33 |
| 18:00 | 716 | აეკ-მაკედონიკოსი | 1.20 | 12.00 | 4.00 | 1.09 | 1.00 | 3.00 |
| 18:00 | 717 | კოლოსოსი-ოლიმპია | 1.80 | 12.00 | 1.80 | 1.56 | 1.00 | 1.56 |
| 18:00 | 718 | არისი-აპოლონი | 1.15 | 12.00 | 4.00 | 1.04 | 1.00 | 3.00 |
| 18:00 | 719 | პანიონიოსი-ოლიმპიაკოსი | 2.20 | 12.00 | 1.50 | 1.85 | 1.00 | 1.33 |
| 20:00 | 720 | პანათინაიკოსი-მარუსი | 1.15 | 12.00 | 4.20 | 1.04 | 1.00 | 3.11 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10010 | ბირმინგემი-ბლექბერნი | 2.75 | 2.00 | 3.20 | 1.15 | 1.47 | 1.23 |
| 10543 | არსენალი-ვილიარეალი | 1.90 | 2.20 | 5.50 | 1.01 | 1.41 | 1.57 |
| 10545 | შალკე-სევილია | 2.35 | 2.00 | 4.30 | 1.08 | 1.51 | 1.36 |
| 10546 | სტიაუა-მიდლსბრო | 2.60 | 2.00 | 3.65 | 1.13 | 1.51 | 1.29 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11010 | ბირმინგემი-ბლექბერნი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11543 | არსენალი-ვილიარეალი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11545 | შალკე-სევილია | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.50 |
| 11546 | სტიაუა-მიდლსბრო | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

12010 ბირმინგემი-ბლექბერნი ------- 1.70 ---------- 1.90
12543 არსენალი-ვილიარეალი ------ 1.60 ---------- 2.00
12545 შალკე-სევილია ---------------- 1.70 ---------- 1.90
12546 სტიაუა-მიდლსბრო ------------- 1.60 ---------- 2.00

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

------------------------------------------------ კი ------- არა
13010 ბირმინგემი-ბლექბერნი ------- 1.70 ---------- 1.90
13543 არსენალი-ვილიარეალი ------ 1.70 ---------- 1.90
13545 შალკე-სევილია ---------------- 1.70 ---------- 1.90
13546 სტიაუა-მიდლსბრო ------------- 1.70 ---------- 1.90

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)
14010 ბირმინგემი-ბლექბერნი ------- 1.80 ---------- 2.00
14543 არსენალი-ვილიარეალი ------ 1.25 ---------- 2.60
14545 შალკე-სევილია ---------------- 1.65 ---------- 2.20
14546 სტიაუა-მიდლსბრო ------------- 1.75 ---------- 2.00

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15010 | ბირმინგემი-ბლექბერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15543 | არსენალი-ვილიარეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15545 | შალკე-სევილია | 3:00 | 2.80 | 2.00 |
| 15546 | სტიაუა-მიდლსბრო | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

16010 ბირმინგემი-ბლექბერნი ------- 1.65 ---------- 1.90
16543 არსენალი-ვილიარეალი ------ 1.20 ---------- 3.40
16545 შალკე-სევილია ---------------- 1.40 ---------- 2.40
16546 სტიაუა-მიდლსბრო ------------- 1.60 ---------- 2.00

### გოლი:წყვილი-1ლუ კენტი-2. (0:0 ითვლება წყვილად)

17010 ბირმინგემი-ბლექბერნი ------- 1.85 ---------- 1.95
17543 არსენალი-ვილიარეალი ------ 1.85 ---------- 1.95
17545 შალკე-სევილია ---------------- 1.85 ---------- 1.95
17546 სტიაუა-მიდლსბრო ------------- 1.85 ---------- 1.95

## შემდეგ ეტაპზე გასვლა

18543 არსენალი-ვილიბრეალი ------ 1.45 ---------- 2.50 | 18545 შალკე-სევილია ---------------- 1.65 ---------- 2.00 | 18546 სტიაუა-მიდლსბრო ------------- 2.40 ---------- 1.40

## ფორმულა 1. 21 აპრილი

13:00 ...... 1001 ......... გამარჯვებული ................ ტრული ................................ 35.00
13:00 ...... 1001 ......... გამარჯვებული ................ იდე ................................ 260.00
13:00 ...... 1001 ......... გამარჯვებული ................ ჰაიდფელდი ................................ 40.00
13:00 ...... 1001 ......... გამარჯვებული ................ მ.შუმახერი ................................ 4.00
13:00 ...... 1001 ......... გამარჯვებული ................ ფიზიკელა ................................ 7.00
13:00 ...... 1001 ......... გამარჯვებული ................ ბატონი ................................ 9.00
13:00 ...... 1001 ......... გამარჯვებული ................ მონტოია ................................ 12.00
13:00 ...... 1001 ......... გამარჯვებული ................ როსბერგი ................................ 17.00
13:00 ...... 1001 ......... გამარჯვებული ................ მასა ................................ 20.00
13:00 ...... 1001 ......... გამარჯვებული ................ ალონსო ................................ 2.55
13:00 ...... 1001 ......... გამარჯვებული ................ უებერი ................................ 25.00
13:00 ...... 1001 ......... გამარჯვებული ................ რაიკონენი ................................ 4.00
13:00 ...... 1001 ......... გამარჯვებული ................ ვილნევი ................................ 50.00
13:00 ...... 1001 ......... გამარჯვებული ................ კულტხარდი ................................ 65.00
13:00 ...... 1001 ......... გამარჯვებული ................ კლიენი ................................ 90.00
13:00 ...... 1001 ......... გამარჯვებული ................ ლიუცი ................................ 120.00
13:00 ...... 1001 ......... გამარჯვებული ................ სპიდი ................................ 150.00
13:00 ...... 1001 ......... გამარჯვებული ................ მონტეირო ................................ 180.00
13:00 ...... 1001 ......... გამარჯვებული ................ ალბერსი ................................ 250.00
13:00 ...... 1001 ......... გამარჯვებული ................ სატო ................................ 250.00
13:00 ...... 1001 ......... გამარჯვებული ................ ბარიკელო ................................ 35.00
13:00 ...... 1001 ......... გამარჯვებული ................ რ.შუმახერი ................................ 25.00



# რა თქმა უნდა, ჰერბერტი

**გუშინ** გორდონ ჰერბერტი ოფიციალურად დაინიშნა საქართველოს ნაკრების მწვრთნელად. ეს რომ ასე იქნებოდა, კარგა ხანია, ცნობლია, ცუმც, სანამ ამ საქმეს საქართველოს ფედერაცია ბეჭედს არ დაასვამდა, კანადელი სპეციალისტი ქართველ ხუთკვაროსანთა წინამძღოლად ვერ ჩაითვლებოდა.

ფედერაციის პრესსამსახურმა გუშინ მოგვაწოდა ცნობა, რომ ამ ორგანოს გამგეობის სხდომამ ჰერბერტი ნაკრების მწვრთნელად დაამტკიცა. ამასთან ერთად, ახალგაზრდული და კადეტთა ნაკრებების თავკაცებიც დაინიშნენ. 20-წლამდელებს ნუგზარ კანდელაკის ნაცვლად, დავით უსტიაშვილი უხელამძღვანელებს, ხოლო კადეტებს — ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი.

სამივე ნაკრები B დივიზიონშია და წლეულს ყველა მათგანს ზედა ეშელონში ასანაცვლებლად მოუწევს ბრძოლა. ასისტენტებსა და სამწვრთნელო შტაბს უახლოს დღეებში თავად მწვრთნელები შეარჩევენ.

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

17 აპრილი

**ფინიქსი 115:78 ნიუ ორლეანი**
ფინიქსი: ნეში (12), ბარბოსა (21), ტომასი (10), დიავი (6), ბელი (19); ჯონსი (20), ჰაუსი (15), ცქიტიშვილი (12 წუთი, 4 ქულა, 1 მოხსნა, 1 ჩაჭრა), გრანტი (4), ბურკი (4)
ნიუ ორლეანი: პოლი (11), ბატლერი, ბასი (4), ბრაუნი (8), მეისონი (10); ჯექსონი (11), სმიტი (10), ფიზერი (9), მასიაუსკასი (7), ნორისი (2), ჯონსონი (4), სნაიდერი (2)

**ტორონტო 95:120 ინდიანა**
ტორონტო: პეტერსონი (27)
ინდიანა: სტოიაკოვიჩი (27)

**ბოსტონი 88:93 კლივლენდი**
ბოსტონი: ალენი (23)
კლივლენდი: ჰიუზი (21)

**მილუოკი 113:93 დეტროიტი**
მილუოკი: რედი (19)
დეტროიტი: ჯონსონი (19)

**დენვერი 83:86 ჰიუსტონი**
დენვერი: ენტონი (22)
ჰიუსტონი: ჰოვარდი (31)

**ორლანდო 112:116 ჩიკაგო**
ორლანდო: თურქოღლუ (32)
ჩიკაგო: ჰაინრიხი (26)

**ნიუ იორკი 91:98 შარლოტი**
ნიუ იორკი: კროუფორდი (24)
შარლოტი: ანდერსონი (18)

**სან ანტონიო 115:82 იუტა**
სან ანტონიო: ჯინობილი (18)
იუტა: უილიამსი (18)

**გოლდენ სტეიტი 93:79 პორტლენდი**
გოლდენ სტეიტი: დანლივი (20)
პორტლენდი: აუთლოუ (19)

# ვინ გაფრინდება მთვარეზე?

*რეგულარული ჩემპიონატის მოგებამ „ავიამშენს“ ხასიათიც გამოუკეთა და პირველობის ამბიციაც თავისთავად გაუმძაფრა. ლევან მოსეშვილის გუნდმა გასული სეზონის ფინალი წააგო და ახლა სანადელის მისაღწევად არაფერს იშურებს. რაც მთავარია, ავიატორთა თამაშში პროგრესი შეიმჩნევა, რაც გუნდის თავკაცს წარმატების იმედს უძლიერებს. გუშინ ლევან მოსეშვილს რომ გავესაუბრეთ, არც დაუმალავს, რომ ჩემპიონობის უპირველეს კანდიდატად თავის გუნდს მიიჩნევს, თუმც არც მეტოქეები დავიწყებია, განსაკუთრებით, რუსთავის „აზოტი“...*



## მოსეშვილს ავიამშენის სჯერა

— თითქმის მთელი რეგულარული ჩემპიონატი კუდში მიდევდით „თსუ-ნიკორას“ და საბოლოოდ გადაასწარით. რითი დაიმსახურა ეს „ავიამშენმა“?

— სიძლიერით. ვფიქრობ, რომ „ავიამშენმა“ ყველაზე კარგად ჩაატარა რეგულარული ჩემპიონატი, განსაკუთრებით, მისი დასკვნითი ნაწილი და დამსახურებულად გავიდა პირველ ადგილზე.

— საბოლოოდ კი დაიკავეთ პირველი ადგილი, მაგრამ კარგა ხანი ისე ვერ თამაშობდით, ლიდერს რომ შეეფერება...

— ამის მიზეზი შეუთამაშებლობა და ტრავმიანობაა. წინა ჩემპიონატის შემდეგ გუნდი არაერთმა კალათბურთელმა დატოვა და ახლების შესათამაშებლად დრო დაგვჭირდა. „ავიამშენის“ გალიდერება მეტწილად კოტე ტულუშის შემატებამ და პლასიდე როდუმტას კარგმა დაცვითმა თამაშმა განაპირობა. კამერუნელ ლეგიონერს ტრავმა აწუხებდა და როცა მწყობრში ჩადგა, ეს გუნდის თამაშზეც უმალ აისახა. დანარჩენებიც უმატებენ და იმედი მაქვს, პლეი ოფისთვის კიდევ უფრო კარგ ფორმაში ვიქნებით. მოსამატებელი აქვს გიორგი მარკოიშვილს, მას გაცილებით მეტი შეუძლია.

— პლეი ოფში თქვენი მეტოქე სტუ-ა. რას იტყვით ამ გუნდზე და საერთოდ, კონკურენტებზე?

— სტუ-სთან გასული ჩემპიონატის ფინალი წავაგეთ, წლეულს კი ოთხიდან ორი მატჩი დავუთმეთ, რაც საკმარისი საფუძველია საიმისოდ, რომ ეს გუნდი უხერხულ მეტოქედ ჩავთვალოთ. ჩვენთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, თუ ვის შევხვდებოდით ნახევარფინალში, თუმც „აზოტთან“ თამაში უფრო უხერხული იქნებოდა. რუსთავში თუ ვითამაშებთ, ჯობს ეს ფინალში მოხდეს. სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდს თასის ფინალში 17 ქულას ვუგებდით, მაგრამ საბოლოოდ დავმარცხდით. ასე რომ, ყველა მეტოქე საფრთხილოა.

— მაინც ვის აქვს ჩემპიონობის უკეთესი შანსი?

— ვფიქრობ, „ავიამშენს“. თუ ხარვეზებს გამოვასწორებთ, ჩემპიონებიც გავხდებით.

— რის გამოსწორებას ისურვებდით უპირველესად?

— როგორც უკვე ვთქვი, თსუსთან 17 ქულას ვიგებდით და საბოლოოდ წავაგეთ. კიდევ არაერთხელ მოხდა, რომ დიდი ანგარიშით გალიდერებულებმა თამაში დავთმეთ, ანუ ჩემს გუნდს ავიწყდება, რომ მატჩი 4 მეოთხედისგან შედგება. ეს არაა ფსიქოლოგიური ხარვეზი, არამედ უფრო ფუნდამენტური ხასიათის პრობლემაა. თუ ამას გამოვასწორებთ, ნებისმიერ მეტოქეს ორიოშნა სხვაობით დავამარცხებთ.

— ახლა თქვენი გუნდის დადებით მხარეზეც გვითხარით...

— ვფიქრობ, „ავიამშენის“ ყველაზე ეფექტური იარაღი გრძელი სკამია. უფრო სწორად, ჩვენ რაოდენობრივად ყველაზე მეტი მოთამაშე გვყავს. დავუშვათ, რომელიმე მატჩში ორივე მხრიდან ორ-ორი კალათბურთელი რომ გააძევონ, მომავალ შეხვედრაში ჩვენ ნაკლები პრობლემები შეგვექმნება შემადგენლობასთან დაკავშირებით. ამას გარდა, „ავიამშენს“ გამოცდილი მოთამაშეები ჰყავს, რაც პლეი ოფში ძალიან მნიშვნელოვანია.

— ბოლოს, მსაჯებზე გკითხავთ. თქვენი გუნდი არაერთხელ ემდუროდა არბიტრებს და ახლა გადამწყვეტი მომენტი რომ დადგა...

— პირადად მე არ გამოითქვამს უკმაყოფილება, რადგან ამ მსაჯების ვერაფერი გამიგია. მგონი, ყველაფერი მთვარესთან არის დაკავშირებული. თუ სავსე მთვარეა, ეს ჩვენს მსაჯებზე უარყოფითად მოქმედებს. მიხეილ ცაგარელთან ჯერ არ დამირეკავს, რათა გავიგო, პლეი ოფში როგორ მსაჯობს უნდა ველოდო. თუ მოედანზე მაქსიმუმს გამოვავლენთ, ჩემპიონები მაინც გავხდებით, როგორი მსაჯობაც არ უნდა იყოს.

**ირაკლი პერტაია**

## კაუტინ კაპუტ



217-სანტიმეტრიანი რუსი, სერგეი კაუტინი, რუსთავის „აზოტმა“ საპლეიოფოდ რომ შეიგულა, საქართველოში აღარ ჩამოვა. ქვემოქართლელებმა კაუტინი გასული თვის ბოლოს შეიყვანეს განაცხადში — ჩემპიონობისათვის ბრძოლაში ფარს კიდევ უფრო გაგვიმაგრებსო, მაგრამ ეს საქმე აღარ გამოვიდა.

„ხან გვეუბნებიან, რომ კაუტინს ხელი აქვს თაბაშირში, ხანაც ფეხი. ერთი სიტყვით, ის რუსთავში აღარ ჩამოდის — გვითხრა „აზოტის“ მთავარმა მწვრთნელმა ოთარ ხმელიძემ — რამე ოფიციალური შეტყობინება არ მიგვიღია რუსეთიდან, მაგრამ უკვე ცხადია, რომ კაუტინი აღარ დაგვეხმარება.“

ისე კი, უკაუტინოდაც არ უნდა გაუჭირდეთ რუსთაველებს ფარქვეშ. დავით იმნაძე, ზვიად ბაბიაშვილი, ჟოლივეტ ტუჯანი — ასეთ წინა ხაზს არც ერთი ქართული გუნდი არ დაიწუნებდა.

## თქვენი ინტერვიუ ზაზა ფაჩულიასთან

*თქვენი მორიგი რესპონდენტი საქართველოს საკალათბურთო ნაკრების და „ატლანტა ჰოქსის“ ცენტრალური თავდამსხმელი ზაზა ფაჩულია იქნება.*

*მოგვაწოდეთ კითხვები და ნბა-ს ყველაზე წარმატებულ ქართველთან ინტერვიუ არაუგვიანეს 25 აპრილამდე გამოქვეყნდება.*



მოგვმართეთ! ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: **Starmail@Caucasus.net**

## ოლგა ტოცკო: საფრანგეთი ვიქტორია რავას გარეშე ბევრიც არაფერია

# გვიქომაგეთ, ქართველებო!

*26 წლის ოლგა ტოცკო ევროპული ფრენბურთის ვარსკვლავი და ფრანგული „კანის“ მექულეა. ტოცკო ლიტველია და „კანის“ სუპერვარსკვლავ, გლდანელ ვიქტორია რავასთან მეგობრობს. და კიდევ, ტოცკო ლატვიის ნაკრების მთავარი ძალაა და მაისში თბილისშიც გვესტუმრება საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ სათამაშოდ. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ჩვენი ჯგუფის პირველი წრე 26-28 მაისს თბილისში, მეორე წრე კი საფრანგეთში გაიმართება. ჩვენების გარდა ჯგუფში არიან საფრანგეთი, გერმანია და ლატვია. ევროპის ჩემპიონატზე პირდაპირ ნავა ჯგუფის პირველადგილოსანი, მეორეს კი პლეი ოფში მოუწევს ევროსაგზურისთვის ბრძოლა. მანამდე ქართველმა გოგონებმა ტოცკოს ყუმბარების წინააღმდეგ უნდა გამოიგონონ ჯავშანი, თორემ თუ ლატვიელმა მექულემ აიწყვიტა, მეტოქის ნახევარს „აოხრება“ არ ასცდება. ისე, თბილისში ერთი ვარსკვლავური დერბიც შედგება. მართალია, ვაქტორია რავა ვერ ჩამოყვება საფრანგეთის ნაკრებს, მაგრამ ტოცკოს და გერმანელი ანგელინა გრიუნის დუელი ძაან საყურებელი უნდა იყოს. ოლგა ტოცკოს საფრანგეთში რომ დავუკავშირდით, თავიდან კი გაიკვირვა, მაგრამ მერე...*



— თქვენ ალბათ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე გინდათ მკითხოთ. კი, ბატონო, მზად ვარ გიპასუხოთ. სასიამოვნოა, რომ ქართველი ჟურნალისტები ამ თემით დაინტერესდით.

**— ჯგუფის ფავორიტად ვინ მიგაჩნიათ?**

— ალბათ გერმანია. ძლიერი გუნდია. მათი ლიდერი ანგელინა გრიუნი მშვენიერ ფორმაშია. გერმანიის შემდეგ ფავორიტად ლატვიას მივიჩნევ. თუმც დიდი შანსია, გერმანიასაც მოვუგოთ და ჯგუფში პირველი ადგილი დავიკავოთ. გერმანიის ნაკრებს ახლახანს მთავარი მწვრთნელი შეუცვალეს. სამხრეთკორეელი ვონ ლი გაუშვეს და იტალიელი ჯოვანი გუიდეტი დაუნიშნეს. გუიდეტი ძლიერი სპეციალისტია, მაგრამ ვეჭვობ, მოკლე დროში გუნდის თავისებურად ჩამოყალიბება მოასწროს. ეს დეტალი კი ჩვენთვის უპირატესობაა.

**— საფრანგეთი?**

— საფრანგეთს არ ეყოლება ყველაზე დიდი ძალა ვიქტორია რავა აგრეთვე ძირითადი შემადგენლობის გამთამაშებელი, ცენტრი და მომწოდებელი. ისინი ტრავმირებულები არიან და ფრანგები ფაქტობრივად მეორე შემადგენლობით იქნებიან.

**— სამაგიეროდ, ჯგუფური ეტაპის მეორე წრეს მასპინძლობენ.**

— მერე რა... ჩვენც საკმაოდ კარგი გუნდი გვყავს და გერმანიასაც. არა მგონია, ფრანგებს საკუთარი მოედნის ფაქტორი დიდად დაეხმაროს.

**— ვსე იგი საქართველოს ნაკრებს საერთოდ არ ჰქონია შანსი...**

— თქვენს გუნდზე საერთოდ არ მაქვს წარმოდგენა და ვერ გეტყვით, რა შეუძლია. შეიძლება სიურპრიზიც შემოგვთავაზოს. ვნახოთ. პროგნოზს იმაზე დაყრდნობით ვაკეთებ, რაც ვიცი. მე კი ვიცი, რომ გერმანიას და ლატვიას ხნებზე უკეთესი შანსი აქვთ.

**— ვიქტორია რავა რომ საქართველოს ნაკრებში თამაშობდეს, მაშინ?**

— ეს უკვე სხვა საქმეა. ვიკას გარეშე საფრანგეთის ნაკრებიც კი არაფერია. ძალიან საინტერესო იქნებოდა, ვიკა და საქართველოს ნაკრები ერთად. საწყენია, რომ მის წინააღმდეგ ვერ ვითამაშებ.

**— იცით, რომ რავა საქართველოში დაბადებულ-გაზრდილია?**

— რა თქმა უნდა, ვიცი. ვიკასთან ვმეგობრობ. ძალიან თბილი და მხიარული ადამიანია. თამამად ვიტყვი, როდესაც ვიკა რავა ფრენბურთის თამაშს თავს დაანებებს, იგი ცოცხალ ლეგენდად იქცევა.

**— საქართველოზე თუ გიყვებათ?**

— აქამდეც მიყვებოდა თბილისში გატარებულ ბავშვობაზე, ახლა კი როდესაც გადაწყდა, რომ ჯგუფური ეტაპის პირველი წრე თქვენთან ჩატარდება, უფრო ხშირად ვსაუბრობთ საქართველოზე. ძალიან საინტერესოდ წარმომიჩინა თქვენი ქვეყანა. სხვათა შორის, ვიკამ მითხრა, რომ ლატვია და საქართველო გამორჩეულად დამეგობრებული ქვეყნები არიან და ბალტიისპირა ხალხს თქვენები პატივს სცემენ. აქედან გამომდინარე, იმედი მაქვს, რომ თქვენებთან არა მაგრამ გერმანიასთან და საფრანგეთთან ქართველები ჩვენ გვიქომაგებენ.

**ბაჩო სვანიძე**

# სდექ! აქ რუსეთია!

## ჩუკოტკაში ბრიტანელი მოგზაური დააკავეს



კარლ ბუშბი

**რუსმა** მესაზღვრეებმა ჩუკოტკაზე, სოფელ უელენთან ერთი ბრიტანელი მოგზაური კარლ ბუშბი და მისი მეწყვილე, ამერიკელი პოლარეთის მკვლევარი დიმიტრი კიფერი დააკავეს. დაკავებულებს უნახეს პისტოლეტი „კოლტი“, სატელიტური კავშირგაბმულობის საშუალება, კომპასი, იმ რაიონის რუკა და ვიდეოკამერა.

აი, ჯაშუშები დავიჭირეთო, იფიქრეს მესაზღვრეებმა. ის ორი კი ამაოდ ირწმუნებოდა, რის ჯაშუშები, რა ჯაშუშები, მოგზაურები ვართ და რუსეთის კომერციული ვიზებიც გვაქვსო, მაგრამ ვინ დაუჯერა. მაშ, ეს „კოლტი“ რა არის, ან დანარჩენი საჯაშუშო ნივთებიო, ნიშნისმოგებით კითხულობდნენ მესაზღვრეები.

ხალხო, ალიასკიდან აქამდე გაყინულ ბერინგის სრუტეზე მთელი 120 კილომეტრი თხუთმეტი დღის განმავლობაში გადმოვკვეთეთ და აქ რომ თეთრი დათვი დაგვსხმოდა, თავი რით დაგვეცვა, თუ არა ამ კოლტითო. ან, აბა, კავშირგაბმულობის საშუალების გარეშე სამყაროს ხომ მთლად მოვწყდებოდით, ან უკომპასოდ და ურუკოდ გზა როგორ უნდა გაგვეკვლია, რომელიც ისედაც ცოტა აგვერიაო, კითხულობდნენ მოგზაურები.

მესაზღვრეებზე ვერც იმ ვიდეოკამერით აღბეჭდილი მოგზაურების კადრების ხილვამ გასჭრა.

ასე იყო თუ ისე, ორივენი გაასამართლეს. მათდა ბედად, სამყაროთმოარულებს სისხლის სამართლის დანაშაული მოეხსნათ და მხოლოდ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაში ამხილეს, რაც 2 ათასი რუბლის (70 აშშ დოლარი) ჯარიმას და რუსეთიდან გაძევებას ითვალისწინებს.

ბედად ამ მოგზაურებს ვექილად ერთი ღვთისნიერი რუსი, სოფელ ლავრენტის ადვოკატი ალექსანდრ პერელგინი დამცველად მოევლინა, ვინც სასჯელი შეუმსუბუქა, თუმც, იგი სრულ გამართლებას ითხოვდა.

ადვოკატი ამას იმით ასაბუთებდა, რომ უელენი ფორმალურად გამშვები პუნქტია, ოღონდ მისი გადაკვეთის განსაკუთრებულ პირობების დროს, მოგზაურები კი იმ ქარბუქში სწორედაც რომ განსაკუთრებულ პირობებში იყვნენ.

მოგზაურობისას საშინელი ქარბუქი ამოვარდა, რამაც გზა აგვიბნია და თქვენი ზასტავა პროვიდენიეს ნაცვლად, სადაც პასპორტებში სათანადო აღნიშვნები უნდა გაგვეკეთებინა, სოფელ უელენში ამოვყავით თავიო — ასე ახსნეს თავიანთი შეცდომა მოგზაურებმა.

ერთი სიტყვით, ამ „საზღვრის დამრღვევებს“ ახლა საკუთარი ხარჯით ამერიკაში გადააფრენენ.

განაჩენის გამოტანის მერე ფეხით გარსაქვეყნო მოგზაურობა „გოლიათის“ პროექტის ტექნიკურმა დირექტორმა ენდრიუ კუპერმა ბიბისისთვის მიცემულ ინტერვიუში თქვა — „კარლი სასამართლოს ასეთ გადაწყვეტილებას ელოდა, მაგრამ როცა განაჩენი მოისმინა, შეძრწუნდა. იგი მთელი ცხოვრება ამ მოგზაურობაზე ოცნებობდა. უკვე შვიდი წელიწადია, რაც გზაშია. მან უკან მოიტოვა 27 ათასი კილომეტრი, კიფერი კი ბუშბის მარშრუტის გარკვეულ ნაწილზე მიაცილებდა. და ამ დროს... მაგრამ, იმედია, რუსეთის ხელისუფალნი კარლს რუსეთში დაბრუნების ნებას დართავენ.“

**ავთანდილ ჭყვიშელი**



## NHL რეგულარული ჩემპიონატი

17 აპრილი

**პიტსბურგი 6:1 აილენდერსი**

*2:0 2:1 2:0*

1:0 ჰილბერტი (2), 2:0 მელოუნი (11), 2:1 შატანი (24), 3:1 სუროვი (36), 4:1 მელოუნი (36), 5:1 მელიხარი (52), 6:1 უიტნი (56)

**ედმონტონი 4:2 კოლორადო**

*1:0 0:1 3:1*

1:0 მიურეი (20), 1:1 საკიკი (33), 2:1 ტორესი (41), 2:2 ბრისბუა (49), 3:2 სტოლი (55), 4:2 შპაჩეკი (60)

**დეტროიტი 3:2 დალასი**

*0:1 0:0 3:1*

0:1 არნოტი (16), 0:2 ლეჰტინენი (44), 1:2 ფრანცენი (54), 2:2 ლილია (56), 3:2 ჰოლმსტრიომი (60)

**ვაშინგტონი 6:4 ატლანტა**

*3:2 0:2 3:0*

0:1 ჰოლიკი (1), 1:1 ლეიკი (4), 2:1 პეტინგერი (5), 2:2 მაკარტი (19), 3:2 ფატა (19), 3:3 ექსელბი (27), 3:4 ბონდრა (29), 4:4 ოვეჩკინი (43), 5:4 უილსი (49), 6:4 პეტინგერი (53)

**ანაჰაიმი 4:3 კალგარი**

*2:0 1:2 1:1*

1:0 პერი (15), 2:0 კუნიცი (20), 2:1 რიჩი (27), 3:1 მაკდონალდი (31), 3:2 იგინლა (37), 3:3 ლენგკოუ (44), 4:3 სელიანე (51)

**სან ხოსე 0:4 ლოს ანჯელესი**

*0:1 0:1 0:2*

0:1 დემიტრა (16), 0:2 პერიში (28), 0:3 კამალერი (42), 0:4 ნორსტრიომი (56)



პიტსბურგელმა სიდნი კროსბიმ „აილენდერსთან“ სამი პასი გააკეთა და ნჰლ-ს ისტორიაში მეშვიდე ახალბედა გახდა, რომელმაც ასქულიანი ზღვარი გადალახა

AFP

ეროვნული ბიბლიოთეკა


ლეილა მესხი და გოგა რობაქიძე

# ჩოგბურთმა კოკა-კოლა მოიგო

საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის გენერალური სპონსორი წლეულსაც კომპანია „კოკა-კოლა“ იქნება. გუშინ მხარეებმა ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს და სამომავლო გეგმები მოკლედ მოხაზეს.

„ჩვენი ოთხწლიანი ურთიერთთანამშრომლობა ამ სეზონშიც გაგრძელდება — განაცხადა ფედერაციის პრეზიდენტმა ლეილა მესხმა — გენერალური სპონსორობა კი „კოკა-კოლამ“ პირველად შარშან იკისრა. რამდენიმე საინტერესო ერთობლივი პროექტიც განვახორციელეთ. მათგან ერთ-ერთი გამორჩეული ჩოგბურთის ღია კარის დღის შემოღება იყო. გადავწყვიტეთ, 3 ივლისის ტრადიცია წლეულსაც გავაგრძელოთ და საერთოდ დავამკვიდროთ.“

გენერალური სპონსორის სახელით „კოკა-კოლას“ მარკეტინგის მენეჯერმა გოგა რობაქიძემ ისაუბრა: „გენერალური სპონსორობის კიდევ ერთი წლით გაგრძელება თავისთავად ნიშნავს, რომ შარშანდელი თანამშრომლობით კმაყოფილები დავრჩით. თუნდაც ერთი კვირის წინანდელი დევისის თასის გათამაშება გავიხსენოთ. ჩვენი სურვილია, სპორტის ეს სახეობა უფრო პოპულარული და მასობრივი გახდეს და ამისთვის არაფერს დავიშურებთ. ცხადია, კონკრეტულ პროექტებზეც ვისაუბრეთ, თუმცა არ გამოვრიცხავ, დროდადრო ახალი იდეებიც გაჩნდეს. ლეილა მესხის ნებისმიერ წინადადებას სიამოვნებით დავუჭერთ მხარს.“

სექტემბერში თბილისში ქალთა საერთაშორისო ტურნირი „კოკა-კოლას თასი“ ჩატარდება. მისი დებიუტი შარშან შედგა და საპრიზო ფონდი 10 ათასი დოლარი იყო. წლეულს შესაძლოა, საგრძნობლად გაიზარდოს. სპონსორი თანახმაა, მაგრამ ბოლო სიტყვას ფედერაცია იტყვის. ისეთ გადაწყვეტილებას მივიღებთ, რომელიც ქართველი ჩოგბურთელებისთვის საუკეთესო იქნებაო — დასძინა მესხმა.

# ა, მომავალი თაობა

## ლალი ზერეკიძე თურქეთში პირველს უმიზნებს

*შაბათს ქართველ ჩოგბურთელთა ნაკრები თურქეთში გაემგზავრება და ფედერაციის თასისთვის მზადებას შეუდგება. 26-29 აპრილს ანთალია მეორე ევრო-აფრიკული ჯგუფის შეხვედრებს უმასპინძლებს. პირველი ჯგუფის ორი საგზურის მოპოვებას საქართველოს გარდა, შვიდი ქვეყნის ნაკრები შეეცდება. ქართული გუნდი დღეს-ხვალ სრული შემადგენლობით შეიკრიბება და, სავარაუდოდ, თბილისშიც მოასწრებს ერთობლივი ვარჯიშის გამართვას. ნაკრების კაპიტან ლალი ზერეკიძეს გუშინ ვესაუბრეთ*

**— რომელ ჩოგბურთელებს იახლებთ თურქეთში?**

— მაკა ჩახნაშვილს, ია ჯიქიას, მანანა შაფაქიძესა და სოფო ქვაცაბაიას.

**— ცხადია, პირველი ნომერი ჩახნაშვილი იქნება. მეორე გარკვეულია?**

— უკვე გადაწყვეტილია, რომ ჯიქიას ვათამაშებთ. ძალიან ნიჭიერი ჩოგბურთელია. ფედერაციის თასზე პირველად თამაშობს და იმედია, კარგი დებიუტი ექნება.

**— მეტოქეებად რომელი ნაკრებები გვეყოლება?**

— კენჭისყრა 25 აპრილს იქვე მოეწყობა. ჩვენ, ალჟირი, საბერძნეთი, ირლანდია, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი და პორტუგალია ორ ჯგუფში გადავნაწილდებით. ჯგუფური შეხვედრების შემდეგ პირველადგილოსნები მეორადგილოსნებს დაუპირისპირდებიან. გამარჯვებულები პირველი ჯგუფის საგზურებს გაინაღდებენ, მესამე-მეოთხეები კი ჯგუფში დასარჩენად იბრძოლებენ.

**— გასვლაზე ფიქრი რეალურია?**

— აუცილებლად ამისთვის ვიბრძოლებთ. შარშანაც იგივე სისტემა მოქმედებდა და მიზანთან ძალიან ახლოს ვიყავით. ჯგუფში პირველზე გავედით, მაგრამ მერე მეორე ჯგუფის მეორეადგილოსან ფინეთთან 1:2 წავაგეთ.

**— ამჯერად ფავორიტები ვინ იქნებიან?**

— ძნელია რომელიმეს გამორჩევა. კენჭისყრის შემდეგ გამოჩნდება. ჯერ ისიც არ ვიცით, რომელ ნაკრებს რომელი ჩოგბურთელები ჩამოჰყავს თურქეთში. უკეთეს რეიტინგიანებს განთესავენ კიდეც.

**— სოფო მელიქიშვილი, სალომე დევიძე და ანა ტატიშვილი მსოფლიო რეიტინგში შედარებით მაღლა არიან, ვიდრე ჯიქია, ქვაცაბაია და შაფაქიძე...**

— სამივე კარგი ჩოგბურთელია და სამომავლოდ აუცილებლად გამოადგებიან ნაკრებს, მაგრამ ამ ეტაპზე ასე მოხდა... მელიქიშვილზე სერიოზულად ვფიქრობდით. თავადაც უდიდესი სურვილი ჰქონდა, მაგრამ ჩამოსვლას სავიზო პრობლემამ შეუშალა ხელი. დევიძე ტრავმებმა დატანჯა და ჩვეული ფორმიდან ამოვარდა. ტატიშვილის გამოძახება საჭიროდ არ ჩავთვალეთ, თუმცა დარწმუნებული ვარ, სულ მალე იგი ჩვენი ნაკრების ლიდერი გახდება. რეიტინგშიც საოცარი სისწრაფით მიიწევს წინ. არადა, ჯერ თექვსმეტი წლისაა.


ია ჯიქია

**— ერთი ნათელია. წინა წლებთან შედარებით, დიდი არჩევანი გაქვთ...**

— შედარებაც არაა. ისეთი თაობა მოდის, შემიძლია, დარწმუნებით გითხრათ, მომავლის გუნდი გვყავს. ეს ჩოგბურთელები ისეთ პროგრესს განიცდიან, მომავალ წელს პირველი ჯგუფისთვისაც კი ძლიერი გუნდი უნდა გვყავდეს. იმედია, იქაურ საგზურს თურქეთშივე გავინაღდებთ.

**ოთარ მაღლაკელიძე**

მონტე კარლო. მონაკო. თიხნარი. საპრიზო 2 082 500 €

# RUSSIANS GO HOME!

# როჯერს მიწა უყვის

### პირველი წრე

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) — 6:3 2:6 6:3; **ალბერტო მარტინი** (ესპანეთი) — ივო კარლოვიჩი (ხორვატია) — 6:4 7:6; **ხუან-კარლოს ფერერო** (11, ესპანეთი) — დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი) — 6:1 6:2; **ხუან-იგნასიო ჩელა** (არგენტინა) — გრეგ რუზეცკი (ბრიტანეთი) — 6:4 6:7 6:1; **გასტონ გაუდიო** (7, არგენტინა) — ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი) — 6:1 6:3; **ხოსე აკასუსო** (არგენტინა) — ფილიპო ვოლანდრი (იტალია) — 6:4 6:2; **ალესიო დი მაურო** (იტალია) — სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) — 6:2 6:4; **რადეკ შტეპანეკი** (10, ჩეხეთი) — ევგენი კოროლიოვი (რუსეთი) — 6:2 7:6; **ტომი რობრედო** (15, ესპანეთი) — ლუის ორნა (პერუ) — 6:3 6:4; **ოლივიე როხუსი** (ბელგია) — გაელ მონფი (საფრანგეთი) — 4:6 6:4 6:1; **ანდრეას სეპი** (იტალია) — დავიდე სანგინეტი (იტალია) — 2:6 6:1 6:4; **დავიდ ნალბანდიანი** (3, არგენტინა) — ქსავიე მალისი (ბელგია) — 6:4 6:4; **მიშელ ლოდრა** (საფრანგეთი) — ბორის პაშანსკი (სერბეთი) — 6:3 6:0; **ნიკლას კიფერი** (9, გერმანია) — მაქს მირნი (ბელორუსია) — 6:4 4:6 7:6; **კრისტოფ ვლიგენი** (ბელგია) — იარკო ნიემინენი (14, ფინეთი) — 1:6 6:4 7:6; **იან ჰერნიხი** (ჩეხეთი) — ჟულიენ ბენეტო (საფრანგეთი) — 7:6 4:6 7:6; **ჟილ სიმონი** (საფრანგეთი) — თეიმურაზ გაბაშვილი (რუსეთი) — 6:4 6:2; **ტომაშ ბერდიხი** (16, ჩეხეთი) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) — 6:2 6:4; **ფელისიანო ლოპესი** (ესპანეთი) — ვიქტორ ჰანესკუ (რუმინეთი) — 6:4 4:6 7:6; **პოტიტო სტარაჩე** (იტალია) — ნიკოლა მაჰუტი (საფრანგეთი) — 7:6 6:2; **რობინ სოდერლინგი** (შვედეთი) — ნიკოლაი დავიდენკო (5, რუსეთი) — 6:3 2:6 6:4; **გილერმო კორია** (6, არგენტინა) — მიხაილ იუჟნი (რუსეთი) — 6:3 6:1; **პოლ-ანრი მატიო** (საფრანგეთი) — მარატ საფინი (რუსეთი) — 6:0 7:5.

**სათიხნარო** სეზონის პირველი სერიოზული და წარმომადგენლობითი ტურნირი „ევროპულ ლასვეგასში“ დაიწყო — მონტე კარლოში წლის მესამე მასტერსი ილვიძებს. მონტე კარლოს შემდეგ კიდევ ორიოდ მასტერსი მოჰყვება, საგრუნტო სეზონის პიკი კი მაისის ბოლოს მომლოდინე „როლან გაროსია“.

მონაკოს მიწაზე პირველივე დღეს დატრიალდა სუპერსენსაციის სუნი — როჯერ ფედერერს პირველივე მატჩისას დაემუქრა ტურნირის დატოვების საფრთხე. ამ ერთხელაც გამოჩნდა, რომ „მხიარული როჯერისთვის“ გრუნტი ყველაზე ფეხმოუკიდებელი საფარია.

არადა, შვეიცარიელმა სოლიდურად დაიწყო და სერბ ნოვაკ ჯოკოვიჩს პირველი სეტი უპრობლემოდ აართვა. მეორე პარტიაში კი 18 წლის ბალკანელმა თავის გამოცდილ მეტოქეს დიდძალი თავსატეხი გაუჩინა და ანგარიშიც 6:2 მოგებული სეტით გაათანაბრა. თუმც ფედერერმა მაინც თავისი გაიტანა, ტემპის მოუმატა და თავზემოთ შეჯარული საავდრო ღრუბელი მესამე სეტში გაფანტა. როჯერს მომდევნო მეტოქედ ესპანელი და შესაბამისად, თიხნარის სპეციალისტი ალბერტო მარტინი ელოდება.

„რთული მატჩი იყო, მეც ცუდად ვითამაშე და საერთოდ ჯერ ბოლომდე ვერ შევეგუე ამ საფარს, თუმც იმედი მაქვს, რომ აუცილებლად მოვუმატებ... ბევრის სკეპტიკური დამოკიდებულების მიუხედავად ვიცი, რომ შემიძლია გრუნტზე თამაში და ამას მალე ყველას დავუმტკიცებ... ჩემი უმთავრესი სამიზნე „როლან გაროსია“ და ყველაფერს გავაკეთებ მის მოსაგებად“ — ოპტიმისტურად არის განწყობილი ფედერერი, რომელსაც სერიოზულად აქვს დაგეგმილი „დიდი სლემის“ შესრულება. ჩვენ კი ჯერ ის ვნახოთ, რას იზამს შვეიცარიელი მონაკოში და რამდენად შეძლებს შარშანდელი შედეგის გაუმჯობესებას — ერთი წლის წინ მან იქ მეოთხედფინალში წააგო რიშარ გასკესთან.



პირველი წრიდან მონაკოს სათავადოს ყველა რუსი დაემშვიდობა. განსაკუთრებით მარატ საფინისა და მეხუთე ნომრად განთესილი ნიკოლაი დავიდენკოს „ჩაუქობაა“ გამოსაყოფი, რომლებიც თიხნარზე ასე უსახურ იშვიათად თამაშობენ. საფინს კი მოუწევს ნერვების მოთოკვა, თორემ მალე არც ჩოგანი შერჩება და ელიტაში დაბრუნებაც ძალიან გაუჭირდება. მეორეს მხრივ, მარატს ახლა მთელი კვირა აქვს გონზე მოსასვლელად და რომის მასტერსისთვის მოსამზადებლად.

2:0 დამთავრდა პირველ წრეში გამართული არგენტინულ-ბრიტანული დუელი. გასტონ გაუდიომ და ხუან-იგნასიო ჩელამ იოლად ჩაახრევინეს ჩოგნები ვეტერანებს — ტიმ ჰენმანსა და გრეგ რუზეცკის და კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი იმ ფაქტს, რომ ბრიტანელები ამ საფარზე ხეირს ამაოდ ეძებენ.

მოიგო კიდევ ერთმა არგენტინელმა, მესამე ნომრად განთესილმა დავიდ ნალბანდიანმაც. მან ქსავიე მალისს ორჯერვე სეტების მიწურულს გაუკეთა ბრეიკი და მეორე წრის საგზური მშვიდად გაინაღდა.

ადგილობრივ მაყურებლებს ყველაზე მეტად გაელ მონფის მარცხი ეწყინათ. 19 წლის ფრანგი ვერაფრით ვერ ამართლებს მასზე გაცემულ ავანსებს — ამჯერადაც ოლივიე როხუსთან იოლად დათმო პირველ სეტში მოპოვებული უპირატესობა. ქონდრისკაცა ბელგიელი (160 სანტიმეტრი) კი სულ უფრო ხშირად ამწარებს ზორბა მოთამაშეებს — გაგახსენებთ, რომ ის მარატ საფინისთვისაც ყველაზე უხერხული მეტოქეა.

**ქახა ლომაშვილი**

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. ნახევარფინალი. პირველი მატჩი. წუხელ



გახარებული ჟიული და გაწბილებული შევჩენკო






AFP მილანიდან

# ბარსელUNA ყველას დაჰყურებს

**მილანი (იტალია) 0:1 ბარსელონა (ესპანეთი)**

0:1 ჟიული (56)

მილანი: დიდა, სტამი (კაფუ 77), ნესტა, კალაძე, სერჟინიო, გატუზო (ამბროზინი 74), პირლო (მალდინი 67), ზეედორფი, კაკა, შევჩენკო, ჯილარდინო

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

ბარსელონა: ვალდესი, ოლეგერი (მოტა 75), პუიოლი, მარკესი, ვან ბრონკჰორსტი, ვან ბომელი, ედმილსონი, ინიესტა, ჟიული (ბელეტი 71), რონალდინიო (მაქსი ლოპესი 89), ეტოო

მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი

გაფრთხილება: პუიოლი (34), ვალდესი (74), ნესტა (82)

მსაჯი: ალან სარსი (საფრანგეთი)

79 000 მაყურებელი

**გადაჭედილი** „სან სირო" პირველად მაშინ აგუგუნდა, როდესაც არეული პირველი წუთების შემდეგ „მილანმა" ზედიზედ შექმნა ორი უაღრესად სახიფათო მომენტი — ჯერ ალბერტო ჯილარდინომ ისარგებლა მცველების დაბნეულობით და მახვილი კუთხიდან ძელი შეაზანზარა, მერე კი კლარენს ზეედორფის ჩაწოდებულს ანდრეი შევჩენკოს თავური მოჰყვა, მაგრამ უკრაინელს დარტყმა მთლად ისეთი არ გამოუვიდა, როგორც სურდა და ვალდესმა ბურთის მოგერიება შეძლო.

პირველ ტაიმში „ბარსელონას" ასეთი მომენტი არ ჰქონია. თუმცა დიდა ერთი-ორჯერ საქმეში მაინც ვნახეთ.

შესვენების შემდეგ კი ყველაფერი შეიცვალა. თუმცა პირველი მომენტი კვლავ მასპინძლებმა შექმნეს — კაკამ ბურთი კარგ პოზიციაში მიიღო და კარში დარტყმას პასი არჩია, რამაც არ გაამართლა.

სანამ რონალდინიო მოედანზე იყო, მილანელები მას განსაკუთრებული ყურადღებით მეურვეობდნენ და, შეიძლება ითქვას, ეს ურიგოდ არ გამოსვლიათ. თუმცა ბრაზილიელს 57-ე წუთზე ერთი ეპიზოდიც ეყო მატჩის ბედის გადასაწყვეტად — ჯენარო გატუზოს ორთაბრძოლა მოუგო და ფეხის თვალშეუვლები მოძრაობით ბურთი „მილანის" საჯარიმოში ჩააგდო, სადაც უსწრაფესი ლუდოვიკ ჟიული ორ მცველს გაექცა და მახვილი კუთხიდან ძლიერი დარტყმით შეაგდო.

ცოტა ხანში, რონალდინიოს თავადაც შეეძლო გატანა, მაგრამ მისი ჭკვიანური დარტყმა ძელს მოხვდა.

„როსონერის" აშკარად ეტყობოდა გრიპიანი ფილიპო ინძაგის არყოფნა. მილანელთა იერიშებს სიმწვავე აკლდა. მით უმეტეს, ანდრეა პირლო და ზეედორფი ძალიან უღიმღამონი იყვნენ. მიუხედავად ამისა, დარჩენილ დროში მასპინძლებს ანგარიშის გათანაბრება მაინც შეეძლოთ. განსაკუთრებით შეცვლაზე შესული მასიმო ამბროზინის მომენტი უნდა გამოვარჩიოთ, როდესაც მან კაკას კარგი პასი გააცუდა. გატანის შანსი თავად კაკასაც ჰქონდა, მაგრამ ორ მცველს შორის გამძვრალს ხეირიანად დარტყმა აღარ აცალეს და...

ალბათ ენა არავის მოუბრუნდება იმის სათქმელად, „ბარსელონამ" დაუმსახურებლად მოიგოო. კატალონიელები ძალიან თავდაჯერებულები ჩანდნენ და გონივრულადაც თამაშობდნენ, თანაც ლიონელ მესის, დეკუსა და ჰენრიკ ლარსონის გარეშე.

რაც შეეხება კახა კალაძეს, მან, ფაქტობრივად, მთელი მატჩი საკმაოდ დამაჯერებლად ჩაატარა, მაგრამ...

**გიორგი ძაძამაძე**



AFP მილანიდან

ეტოოს „ბარსელონამ" კალაძის „მილანს" დიდი თავსატეხი დაუტოვა

## ინგლისი

პრემიერლიგა. XXXV ტური

უიგანი 3:2 ასტონ ვილა

ჩემპიონატი. XLIV ტური

შეფილდი 1:1 ლიდსი

პირველი ლიგა. XLIII ტური

ჰადერსფილდი 1:2 კოლჩესტერი

მეორე ლიგა. XLIII ტური

შრიუსბერი 4:1 რაშდენი

კონფერენსლიგა. XL ტური

ბარტონი 0:0 საუთპორტი

## შვედეთი

სუპერეტა. I ტური

ასირისკა 2:0 ნორჩიოპინგი

ლანდსკრონა 0:1 იორებრო

ტრელებორგი 3:0 ძვიდინგი

უმეა 2:2 ფალკენბერგი

## ავსტრია

პირველი დივიზიონი

გადადებული მატჩი

შვანენშტადტი 0:1 აუსტრია (მ)

თასის ნახევარფინალი

პაშინგი 2:3 *მატერსბურგი*

## თურქეთი

თასის ნახევარფინალი

საპასუხო მატჩი

*ფენერბაჰჩე* 3:0 დენიზლი (4:0)

## შოტლანდია

მეორე დივიზიონი

გადადებული მატჩი

დამბარტონი 0:2 გრეტნა

## გერმანია

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

გადადებული მატჩები

ერფურტი 1:0 ვერდერი (მ)

ზანქტ პაული 1:1 ჰერტა (მ)

ლიუბეკი 2:0 ემდენი

სამხრეთ რეგიონალლიგა

გადადებული მატჩები

მიუნხენი (მ) 2:2 ეშბორნი

პფულენდორფი 3:1 დარმშტადტი

აალენი 2:1 ბაიერნი (მ)

ვეჰენი 0:2 კიკერსი

## ნორვეგია

ტიპელიგა. II ტური

ბრანი 1:1 ლილესტრიომი

## პოლონეთი

პირველი ლიგა

გადადებული მატჩი

კორონა 1:1 ლეხი

## ჩეხეთი

თასის მეოთხედფინალი

სლოვაცკო 0:0(პენ.1:4) *ბრნო*


## წამალი „სალხინო"

ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მინებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,

მიიღეთ წამალი „სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

„სალხინო" ანესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გიგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა დაავადებების დროს. „სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს" თვისებები აპრობირებული და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე 3,30 დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.



სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია

დირექტორი გიორგი ოქროპჭედლიძე

მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული

პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე

ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე

ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე

უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: პაატა ხუციშვილი

უცხოური ფეხბურთის რედაქცია: ვიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე

ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე

სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი

კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა ღოგრაშვილი, რუსუდან ქრისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.

საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29

ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge

ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge